# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 234 (5835)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




3

## განტევების ვაცები და ხელშეუხებელნი,

**ანუ კიდევ ვის გადააგდებენ ზღვაში ჩასაძირად განწირული გემიდან?**

## ყოფილმა პრეზიდენტმა ყველა ფუთა არჩევნების წინ გახსნა

4

## პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელი გაიტაცეს

9

ⓞ ერიჯაა!

## რას ქადაგებს ახალი პრემიერი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძესა და კომპანია „ნიუს კორპორეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტ მარტინ პომპადურს შორის შეხვედრა კვირას და ორშაბათს შედგა. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა.

მისი თქმით, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს მთავრობას არაკონსტრუქციული პოზიცია და რაღაც გადამეტებული მოთხოვნები აქვს, თუმცა, როგორც ლადო გურგენიძემ აღნიშნა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მან რამდენიმე წინადადება და საკითხი განმარტა, რომლის შესწავლაზეც „ნიუს კორპორეიშენის“ წარმომადგენელს ესაუბრა.

როგორც ლადო გურგენიძემ აღნიშნა, ერთ-ერთი საკითხი ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელობის სტრუქტურას და მის განკარგვას ეხება. მისი თქმით, „ნიუს კორპორეიშენის“ მიმართ იყო თხოვნა, ეჩვენებინათ აქციონერებს შორის არსებული ნებისმიერი სახის კონტრაქტი და სხვა დოკუმენტაცია.

როგორც ლადო გურგენიძე აღნიშნავს, ეს პირველ რიგში იმისთვის გაკეთდა, რომ მათ გაეგოთ სინამდვილეში „იმედის“ აქციონერთა სტრუქტურა, რადგან ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისით დათარიღებული დოკუმენტაცია, რომელიც ქართულ იურიდიულ ველში არსებობს აქციების გადაცემის შესახებ, მიუთითებს „ნიუსკორპისათვის“ „იმედის“ აქციების 100 პროცენტით გადაცემას. ლადო გურგენიძის განცხადებით, თუ 100 პროცენტით გადაცემა ოქტომბრის ბოლოს მოხდა, რატომ კეთდებოდა განცხადებები წელიწადნახევრისა და ერთი წლის წინათ იმასთან დაკავშირებით, თითქოს „ნიუსკორპი“ „იმედის“ წილის მფლობელი და ერთ-ერთი აქციონერი იყო?

როგორც ლადო გურგენიძემ თქვა, ეს ქართული სარეესტრო მონაცემებით არ დასტურდება. გარდა ამისა, ერთ-ერთი თხოვნა ის იყო, რომ ბოლო პერიოდში მათ წარედგინათ აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები და ასევე, „იმედის“ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია, თუ როგორ ხდებოდა „იმედის“ ფინანსირება, რადგან იმ დოკუმენტაციის თანახმად, რომელიც საგადასახადო ორგანოებშია წარდგენილი, „იმედი“ წამგებიანი კომპანიაა.

როგორც პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, მათი ერთ-ერთი თხოვნა იყო, ამ დოკუმენტაციის უტყუარობის გარანტი „ნიუს კორპორეიშენი“ ყოფილიყო. პრემიერის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტაცია არის სტანდარტული და ნებისმიერ ბიზნესში ის წესრიგში უნდა იყოს, ანუ მსგავსი დოკუმენტაციის ამოღება და გადაცემა მხოლოდ რამდენიმე საათის ამბავია იმ ბიზნესში, რომელსაც ყველაფერი წესრიგში აქვს.

გარდა ამისა, როგორც გურგენიძემ აღნიშნა, მათ „ნიუს კორპორეიშენის“ საქართველოში ყოფნის სურვილი დააფიქსირეს, როგორც მედიასივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშის. ჩვენთვის ის საკითხიც დაისვა, რომ გაჩნდეს მინიმალური მოთხოვნები იმ პირების მიმართ, რომლებიც ფლობენ და მართავენ მედიასაშუალებას.

იხ. 2 გვ.

## „კანონიერი ქურდები“ მსოფლიოს რუსეთმა „აჩუქა“

9

## გიორგი ხუხაშვილი: პრეზიდენტის ინტერვიუმ შემაშფოთა




3

## ირაკლი ოქრუაშვილი გერმანიაში დააკავეს

გუშინ გერმანელმა სამართალდამცავებმა, ქართველი კოლეგების თხოვნით, რომლებმაც ინტერპოლის მეშვეობით გამოაცხადეს მასზე ძებნა, დააკავეს ირაკლი ოქრუაშვილი. გერმანიის სასამართლო გადაწყვეტს საქართველოში მისი ექსტრადირების საკითხს.

## ოკეანის გადაღმელთა სუსტი პოლიტიკის ნაყოფი

6-7



# ადუღებული დრო

● ეს ქვეყანა იზოლაციის პირობებში ვერ იარსებებს. იზოლაცია ძალიან სერიოზულ შიდა რესურსს საჭიროებს, რასაც ქვეყანა მოკლებულია. ამიტომ იზოლირებულმა რეჟიმმა შესაძლოა 6 თვეს ან მაქსიმუმ 1 წელიწადს გასტანოს. ამ ქვეყანას მეტი რესურსი არ აქვს. თუ ასე მოხდა, ისეთ ნანგრევებში აღმოვჩნდებით, იქიდან ამოსვლა ყველას გაუჭირდება...



**◉ თვალსაზრისი**

# გიორგი ხუხაშვილი: პრეზიდენტის ინტერვიუმ შემაშფოთა

## რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ 5 იანვარს?

**მიტინგებისა და დემონსტრაციების მთავარი ლოზუნგის — „უპრეზიდენტო საქართველოს“ ფონზე საპრეზიდენტო კანდიდატების სიმრავლე მართლაც ღიმილისმომგვრელია. ეკონომიკის ექსპერტს გიორგი ხუხაშვილს პირველად სწორედ ამ შეკითხვით მივმართეთ — კარგია თუ ცუდი პრეზიდენტობის კანდიდატთა სიმრავლე?**

— 22 კანდიდატი, ვგონებ, ცოტა გაზვიადებულია, მაგრამ კანდიდატი, რომელიც ხმების რეალურ რაოდენობას მიიღებს, მხოლოდ ოთხი ან ხუთია. დანარჩენი ყველაფერი ფონს ქმნის, თუმცა, რად გიკვირთ კანდიდატების სიმრავლე, საქართველოში ხომ ყველა პრეზიდენტია. ამ სიმრავლეში ხელისუფლების პოლიტტექნოლოგიების გამოყენების, ან ვიღაც დამოუკიდებელი უცნაურობების მცდელობაც შეინიშნება, ყოველ შემთხვევაში, რეალური კანდიდატი ოთხი ან ხუთია.



ჩვენ, ალბათ, ძალიან ბევრ სიურპრიზს მივიღებთ. არ გამოვრიცხავ, რომ თუნდაც ეს 4-5 კანდიდატი გამსხვილდეს, ანუ ვინმემ ვინმეს სასარგებლოდ დათმოს თუნდაც პირველ ტურამდე. თუმცა, თუ პირველ ტურამდე ეს არ მოხდა, ამაშიც ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ. თუ მეორე ტურამდე ოპოზიციამ შეინარჩუნა კარგი კოორდინაცია, ვერ მოხერხდა მათი წაკიდება და ურთიერთგარჩევების ინსცენირება, ვფიქრობ, მაშინ შანსი სერიოზული, საგრძნობი იქნება.

ხოლო პროგნოზისგან თავს შევიკავებ, რადგან ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ არჩევნების ბოლომდე ლეგიტიმურობის უზრუნველყოფას. თუ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები არ მუშაობს, ასეთ ვითარებაში ნებისმიერი არჩევნების შესახებ სერიოზული კითხვის ნიშნები ჩნდება.

**— თქვენ, ალბათ, ტელეიმედს და რადიოს გულისხმობთ.**

— არა მარტო ტელევიზიას და რადიოს. სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული ზოგიერთი ოპოზიციის წევრზე. არსებობს რაღაც შეთქმულების თეორიები. მეც დამკითხეს „შეთქმულების“ ერთ-ერთი საქმის გამო.

**— მაშინ თქვენს გვართან ერთად პატარკაციშვილის გვარიც გახმიანდა.**

— კი, ასე იყო. აინტერესებდათ, ვიცნობდი თუ არა მას პირადად და როდის ვხვდებოდით, რაზე ვესაუბრებოდი...

**— თქვენ რა უპასუხეთ? დიდხანს გაგრძელდა დაკითხვა?**

— საკმაოდ კორექტული, ნორმალური საუბარი შედგა. არ ვიცი, რამდენად იყო ეს დაკითხვა... ეს უფრო გასაუბრება იყო. განათლებული გამომძიებელი შემხვდა. სხვათა შორის, განსხვავებულ თემებზეც ვისაუბრეთ. აინტერესებდათ ჩემი პროფესიული საქმიანობა, ხედვა... საერთო ჯამში აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოვიდა, და ეს პროცესი ჩემთვის მაინცდამაინც დამამძიმებელი არ ყოფილა, ვიმეორებ, ნორმალურ ვითარებაში წარიმართა ყველაფერი.

**— თუმცა, დაკითხვაზე თქვენი დაბარება ოპოზიციის წარმომადგენლებმა ტერორად მიიჩნიეს...**

— პროკურატურაში ჩემი ასეთი ფორმით წაყვანა მართლა ძალიან უცნაურია. ვინც მიცნობს, მშვენივრად იცის, რომ ვხვდები ადამიანებს — დახურული ფორმატი იქნება თუ სატელეფონო საუბრები... არსად ისეთს არაფერს ვაკეთებ, რასაც მერე ტელევიზიით არ ვამბობ. თუ ვინმეს ჩემზე რაღაც აინტერესებს, შეუძლია ტელევიზორი ჩართოს და ყველაფერს იქ მოისმენს. ეს არის ჩემი ცხოვრების წესი — ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ ხდება, აბსოლუტურად გამჭვირვალე და საჯაროა.

ამიტომ შეიძლება ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მე არა ვარ ის ადამიანი, ვისაც პროკურატურაში უნდა იძახებდნენ.

ასე რომ, თავადაც ხედავთ, საკმაოდ დაძაბული ვითარებაა, ცხადად ჩანს, რა ხდება სასამართლოს, ასევე, უფლებამოსილების გადამეტების თვალსაზრისით. პროკურატურაში დაკითხვის მეორე დღიდან გაძლიერებულად მითვალთვალებენ. სადაც გადავადგილდები ჩემი მანქანით, სამი მანქანა მას „ესკორტად“ მიჰყვება, თუმცა, ამას ოფიციალურად არ ადასტურებენ.

მოგეხსენებათ, ასეთი რამ მხოლოდ ჩემს თავზე არ ხდება და მე არ ვარ ყველა უბედურების ცენტრი...

მინდა ვურჩიო ხელისუფლებას, რაც უფრო მშვიდად იქნება, მით უფრო უკეთესია მისთვის და უფრო მშვიდ ვითარებაში ჩატარდება არჩევნები.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ დღეს ქვეყანა ძალიან სერიოზული არჩევანის წინაშე დგას, ანუ ჩვენ აღმოვჩნდებით იზოლაციის საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშე, ან არადა, ნორმალურ არჩევნებს ჩავატარებთ. სამწუხაროდ, მესამე გზა აღარ დაგვრჩა. თბილისში ჩამოსულმა სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიად განაცხადა — „იმედის“ გახსნა-არ გახსნა იქნება ინდიკატორი, თუ როგორი არჩევნები ჩატარდება საქართველოშიო. ამაზე პირდაპირ და ღიად განცხადება იმაზე, რაც ხდება საერთაშორისო თანამეგობრობაში, აღარ შეიძლება. სხვათა შორის, ეს ყველა ტელევიზიამ გააშუქა, მან თქვა სავსებით გარკვევით, მიუკიბმოუკიბავად.

**— თქვენი აზრით, რომელმა კანდიდატმა ვის სასარგებლოდ შეიძლება მოხსნას კანდიდატურა?**

— ეს ძალიან რთული სათქმელია, რადგან ლაპარაკობენ, რომ ვიღაცა ვიღაცას მოისყიდის, ან არ მოისყიდის — ჩემი აზრით, ეს არის ძალიან მიამიტური და აბსურდული თემა. ვფიქრობ, უნდა დაიწყოს საარჩევნო კამპანია, შემდგომ შედგეს პრაიმერი, ანუ ყველა კანდიდატი „გაიზომოს“, ვისაც მაღალი რეიტინგი ექნება, მის სასარგებლოდ თუ ზოგიერთმა კანდიდატურა მოხსნა, ურიგო არ იქნება. თუ არც ეს მოხდა, ბუნებრივია, ტრაგედია არც ეს იქნება — ჩვენ მეორე ტურში გადავინაცვლებთ.

**— საქართველოს პრეზიდენტთან ინგა გრიგოლიას ინტერვიუმ საზოგადოებრიობაში განსხვავებული აზრები დაბადა. ხალხის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა წლების მანძილზე დაგროვილი კითხვებიდან არც ერთს არ უპასუხა — თქვენც ამას ფიქრობთ?**

— მოდით, ეს შეკითხვა ორ ნაწილად დავყოთ. თავად ინტერვიუს პრეცედენტი ძალიან საინტერესო იყო. ვფიქრობ, ინგას „იმედიდან“ წამოსვლა თუნდაც ამ ინტერვიუდ ღირდა, რადგან მოსახლეობას მისი ნახვის შესაძლებლობა მიეცა. ინტერვიუს შეფასებას არ დავიწყებ, რადგან იგი არანაირ კომენტარს არ საჭიროებს.

სიმართლე უნდა გითხრათ, მისი მოსმენის შემდეგ საკმაოდ შევშფოთდი, მაგრამ გამიჭირდება შეშფოთების მიზეზებზე ლაპარაკი.

დღევანდელ სიტუაციაში ყველას ვურჩევდი, შევიგნოთ, რომ ერთი საზოგადოებრიობის წევრები ვართ ჩვენ, ყველანი — ჩვენც და ხელისუფლებაც, ოპოზიციაც. ნებისმიერი შეურიგებლობა და კატეგორიულობა შეიძლება იმის საფუძვლად იქცეს, რომ ქვეყანა სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდეს. ასე რომ, დიალოგის დროს, თუნდაც ძალიან კატეგორიული და მწვავე ოპონირების ფარგლებში, რაღაც ჩარჩოების შენარჩუნება აუცილებელია. ჩვენ არ უნდა გავაიგივოთ საკუთარი თავი სახელმწიფოსთან, ყველანი ერთად ამ ქვეყნის შვილები ვართ, არ შეიძლება სახელმწიფო გახდეს ხელისუფლება, ან ნებისმიერმა პოლიტიკოსმა თავისი თავი ან ბედი პირდაპირ ქვეყნის ბედს დაუკავშიროს. ქვეყნის ინტერესების გულისთვის, თუ საჭირო გახდება, ჩვენ — ყველას უნდა აღმოგვაჩნდეს შინაგანი ძალა, რომ საკუთარი ინტერესები დავივიწყოთ. მხოლოდ ასეთი ცნობიერების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, ჩვენმა ქვეყანამ არ დაკარგოს განვითარების ის ვექტორი, რომელსაც მიჰყვება. ყველა სხვა გზა მხოლოდ და მხოლოდ იზოლაციისკენ წაიყვანს ქვეყანას და, საერთო ჯამში, ყველა დაზარალდება, მათ შორის, ის ადამიანებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთადერთი, ანუ საბოლოო ინსტანცია არიან.

ეს ქვეყანა იზოლაციის პირობებში ვერ იარსებებს. იზოლაცია ძალიან სერიოზულ შიდა რესურსს საჭიროებს, რასაც ქვეყანა მოკლებულია. ამიტომ იზოლირებულმა რეჟიმმა შესაძლოა 6 თვეს ან მაქსიმუმ 1 წელიწადს გასტანოს. ამ ქვეყანას მეტი რესურსი არ აქვს. თუ ასე მოხდა, ისეთ ნანგრევებში აღმოვჩნდებით, იქიდან ამოსვლა ყველას გაუჭირდება...

**— ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ ინტერვიუთი ინგა გრიგოლიამ პრეზიდენტს რეკლამა გაუწია...**

— ყველას აქვს საკუთარი ხედვის პრიზმა. ვფიქრობ, ამ ინტერვიუმ, საერთო ჯამში, ზოგადი განწყობით პრეზიდენტისთვის სასარგებლო შედეგი არ გამოიღო და უფრო მეტს არ მოეწონა, ვიდრე მოეწონა.

**— მართალია, რაიმე პროგნოზისგან თავს იკავებთ, მაგრამ მაინც გკითხავთ — რა მოხდება 5 იანვარს?**

— უკვე აღვნიშნე, რომ თუ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები არ აღდგება, რაიმე პროგნოზის გაკეთებაზე ლაპარაკი ზედმეტია. უამისოდ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ლეგიტიმურ არჩევნებს ვერ ჩავატარებთ და, შესაბამისად, ნებისმიერი არჩევნების შედეგი საეჭვო იქნება. საეჭვო შედეგის გამო ქვეყანა სერიოზულ იზოლაციაში აღმოჩნდება, იზოლაციაში კი ქვეყანა ვერ იარსებებს, ამიტომ არალეგიტიმური რა შედეგიც არ უნდა მივიღოთ, ბუნებრივია, არანაირი აზრი და მნიშვნელობა არ ექნება.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

**◉ ერიჰაა!**

# რას ქადაგებს ახალი პრემიერი?

**(პირველი გვერდიდან)**

საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, როგორც ლადო გურგენიძე აღნიშნავს, მათ „ნიუსკორპს“ შესთავაზეს დაჩქარებულ ტემპში მოხდეს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა და ორივე მხარე შეთანხმდეს გარკვეულ პრინციპებზე, რომელიც ასევე დაჩქარებული წესით გატარდება საკანონმდებლო სივრცეში და გავრცელდება ყველა მედიასაშუალებაზე და არამხოლოდ „იმედის“ ტელეკომპანიაზე , გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მოთხოვნაა, კვარტალში ერთხელ მათ მიეცეთ „იმედის“ ფინანსური მდგომარეობის შემოწმების საშუალება.

კიდევ ერთ-ერთი შეთავაზება, როგორც ლადო გურგენიძემ აღნიშნა, არის ის, რომ „ნიუს კორპორეიშენის“ მიმართ საზოგადოებრივი მედიასაბჭო ან რაიმე მსგავსი ორგანო შედგეს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არ არსებობს მედიის ეთიკური და პროფესიული კოდექსი, გამოიყენებს დიდ ბრიტანეთში არსებულ ეთიკურ და პროფესიულ კოდექსს. — „ნიუს კორპორეიშენი“ დიდი ხანია ბრიტანეთში წარმატებით საქმიანობს და მას უმსხვილესი საკაბელო ტელევიზიის 40 პროცენტი აქვს. მათთვის ბრიტანეთის მედიის კოდექსი საკმაოდ ცნობილია, — აღნიშნა გურგენიძემ.

მისი თქმით, მედიასაბჭო კვირაში ერთხელ ყველა ტელევიზიით ყველა ეთერში გავა და ის ისაუბრებს ამა თუ იმ მაუწყებლის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და სხვადასხვა დარღვევებზე, მაგრამ ლადო გურგენიძე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ტელეკომპანია „იმედზე“ კი არა ყველა არხზე გავრცელდება. როგორც გურგენიძემ აღნიშნა, ბოლო მოთხოვნა იყო, რომ ჟურნალისტები, რომლებიც პოლიტიკაში მოღვაწეობდნენ და საქმიანობდნენ, უმჯობესია თუ მომავალში ჟურნალისტიკაში არ იქნებიან.

როგორც ლადო გურგენიძემ აღნიშნა, მათი ინფორმაციით მარტინ პომპადური უკვე ლონდონშია და ისინი აღნიშნულ შეთავაზებულ წინადადებებზე პასუხს ელოდებიან. ლადო გურგენიძის თქმით, რამდენიმე მოთხოვნა, შესაძლოა, სრულად დაკმაყოფილებული არ იყოს, თუმცა, გარკვეული მოლაპარაკება მაინც უნდა შედგეს და ისინი „ნიუს კორპორეიშენისგან“ პასუხს ელოდებიან.

ინტერპრესნიუსი

**◉ მინაწერის მაგიერ**

# აკი, არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო?!

## ანუ სად იყავით, სად იყავით მაშინ?

**ვიდრე წერილის სათაურში გამოტანილი სიტყვების ავტორის ვინაობას შევახსენებდე მკითხველს და იმასაც ვეტყოდე, დროის რა მონაკვეთს ვგულისხმობ სიტყვაში „მაშინ“, ის უნდა აღვნიშნო, რომ ზემოთ დაბეჭდილი მასალის რუბრიკა და სათაური ჩვენია და არა „ინტერპრესნიუსისა“.**

რად ჩავთვალე ამის ხაზგასმა აუცილებლად?



იმად, რომ სწორედ იმ „ერიჰადან“ გამომდინარეობს ამ მინაწერის სათაურად გამოტანილი სიტყვებიც, რომლებიც დღესდღეობით ექსპრეზიდენტს, მაგრამ თავის ხელმეორედ გაპრეზიდენტებაში წყალგაუვალად დარწმუნებულ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

**კიდევ ერთი ტყუილი გამოუვიდა ამით ბატონ მიხეილს.**

რატომ?

მოგეხსენებათ, „ვარდების რევოლუციიდან“ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ **„გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“** მონათლულ (ჩემი აზრით, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, იგი **„ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიის“** „ტიტულს“ უფრო იმსახურებსძ „რუსთავი-2“-ს, ფინანსური პრობლემების გამო (თურმე 9 მილიონი დოლარის ვალი დაუგროვდაძ, დახურვის საფრთხე დაემუქრა.

სწორედ მაშინ ჰკითხა ამ ტელეკომპანიის ერთმა ჟურნალისტმა რომელიღაც ღონისძიებაზე ბატონ მიხეილს, რა ბედი ელისო „რუსთავი-2“-ს.

**— ჩემი პრეზიდენტობის ვადაში არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო, — იყო მეფური პასუხი.**

**დაიხურა რომელია!**

**ტელესივრციდან ერთმანეთის მიყოლებით გაჰქრნენ „მეცხრე არხი“, „იბერია“, „202“, ისიც არ მითხრას ვინმემ, ამჟამინდელი, ბეჟუაშვილისეული „მზე“ ადრინდელს ჰგავსო!**

ასევე ერთიმეორის მიყოლებით არ გაქრნენ **„ღამის კურიერი“** („რუსთავი-2“ძ, **„არჩევანის ზღვარზე“** („მზე“ძ, **„დებატები“** („იბერია“ძ და სხვა საინტერესო, მაღალრეიტინგული თოქ-შოუები **(თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ მოეწონა მათი ობიექტურობა და პრინციპულობაძ?**

**აკი, არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო, ბატონო პრეზიდენტო?**

**აი, ასეთი „სიმართლე-სამართლიანობით“, რომელიც სახელისუფლებო იერარქიული კიბის ზემო საფეხურებიდან ქვემოთ ავტომატურად გადაეცემა, და სხვა მრავალი უკეთურობის გამოც, აბუნტდა ხალხი, და არა ოქრუაშვილ-პატარკაციშვილის მოწოდებით თუ რუსეთის აგენტთა გავლენით, როგორც ახლა უნიჭოდ დამონტაჟებულ-შეკოწიწებული ფილმებით ცდილობენ დაგვარწმუნონ.**

იხ. 5 გვ.

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# აღმდგარი ქვეყანა •

**აბა, ბენდუქიძეს ხომ არ გაწირავდა, მას ჯერჯერობით კიდევ რაღაც დარჩა გასაფუჭებელი. იგივე ითქმის ვანო მერაბიშვილზეც, რომელიც უეჭველი „ვაცია“, მაგრამ ხელშეუხებელ ახალაიას ჯერ კიდევ ბევრი სიბინძურე აქვს მასზე შესაწმენდი**



**◉ თვალსაზრისი**

# განტევების ვაცები და ხელშეუხებელნი,

## ანუ კიდევ ვის გადააგდებენ ზღვაში ჩასაძირად განწირული გემიდან?

**სააკაშვილს რომ ხელისუფლებაში წინასწარვე მონიშნული ჰყავს განტევების ვაცები და ხელშეუხებელნი, ამის შესახებ ერთხელ უკვე ვწერდი:**

„ვანო მერაბიშვილთან ერთად, მინდა შევახსენო ბეჟაშვილსაც, კეზერაშვილსაც, კირკიტაძესაც, ნოღაიდელსაც და ყველა მათ, ვისაც, ოქრუაშვილის, ქიტოშვილისა თუ ქარელის მსგავსად, გარდაუვალი განტევების ვაცობა ელით: აქედანვე თადარიგი დაიჭირონ, სანამ ჩასაძირად განწირული გემის შესამსუბუქებლად, ბალასტივით რიგრიგობით ზღვაში მოისვრიან. ხელშეუხებელი იქ მხოლოდ ის შვიდეულია, რომლებისგან „გაწმენდასაც“ გულისხმობდა ოქრუაშვილი და რომლებსაც არც კორუფცია ეხებათ და არც გაფლანგვა“ („საქართველოს რესპუბლიკა“ №196, 11.10.2007წ.

სანამ „გადადგებოდა“, ბატონმა მიხეილმა ჩემი პროგნოზის ნაწილის გამართლება მოასწრო: გაწირა ნოღაიდელი და დააწინაურა ლომაია!

რა დანაშაულისთვის გაწირა პირველი და რა დამსახურებისათვის დააწინაურა მეორე?

ვილაცამ თქვა, ზურაბ ნოღაიდელი ფიზიკოსი იყო და პრემიერს ეკონომიკური განათლება მოეთხოვებოდაო. მაგრამ სააკაშვილისათვის რომ განათლება რამეს ნიშნავდეს, განათლების მინისტრად ლომაიას დანიშნავდა?!

ზურაბ ნოღაიდელის დაცვა შესაძლოა უადგილოდ ჩანდეს, მაგრამ უსაფუძვლოდ (მით უმეტეს, „მადლობით“!ძ გადაყენებულ პრემიერ-მინისტრს (აუცილებელი ხომ არ არის მოკლანძ საზოგადოება უნდა იცავდეს, ისევე როგორც მისი უსაფუძვლოდ დანიშვნისათვის პასუხს სთხოვდეს დამნიშვნელს.

თავისთავად იბადება კითხვა: შევარდნაძის მთავრობაში ორგზის ფინანსთა მინისტრმა რით ვეღარ ისწავლა ეკონომიკა, ან თუ ვეღარ ისწავლა, რა რჯიდა პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას ადგილზე მაინცდამაინც ეკონომიკის „ვერნასწავლი“ ზურაბ ნოღაიდელი დაენიშნა?

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრით, „საქმეც ის გახლავთ, რომ ნოღაიდელი პრემიერობის დღიდან იქცა ბუტაფორიულ ფიგურად. იქამდეც კი მივიდა, რომ თუ არა ოთხშაბათის ტელექრონიკები, საზოგადოება სახეზეც ვეღარ იცნობდა თავის პრემიერს. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ თავისი პირადული სიმპათია-ანტიპათიაზე დაფუძნებული სიჯიუტით ცნობილი ნოღაიდელი უნიათო მენეჯერი გამოდგა. მის პერიოდში ბევრმა მინისტრმა პატარ-პატარა საუფლისწულოებად აქცია საკუთარი სამინისტრო. ნოღაიდელი თავისი პირადი თვისებების წყალობით ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიან სახელმწიფო მოხელედ. დღეს ის კი არ არის გასაკვირი, თუ რატომ გადააყენა იგი პრეზიდენტმა, არამედ ის, თუ აქამდე რატომ შემოინახა“ (გაზ. „რეზონანსი“ №315, 20.11.2007წ.

ბატონი სოსოს მსჯელობით ისე გამოდის, თითქოს პრეზიდენტმა იმიტომ გაწირა ნოღაიდელი, რომ ბუტაფორიულ ფიგურად იქცა. სინამდვილეში, პრეზიდენტმა აქცია იგი ასეთად, უფრო სწორად, მან იმიტომ დანიშნა იგი, რომ ბუტაფორიული ფიგურა ყოფილიყო, რასაც ბატონმა ზურაბმა „წარმატებით“ გაართვა თავი. ზურაბ ჟვანიას „მინუსი“ ის იყო, რომ ბუტაფორიული ვერ გახდა. ზურაბ ნოღაიდელმა კი ჩოხასავით მოირგო ბუტაფორიულობა. იგი შეგნებულად არ ერეოდა „თავისი“ მინისტრების „პატარ-პატარა საუფლისწულოების“ მაქინაციებში, რადგან ესმოდა, რომ უკლებლივ ყველანი პირადად პრეზიდენტის დანიშნულები იყვნენ და მის პირად საქმეს აკეთებდნენ. ამიტომაც „შემოინახა“ აქამდე. ბატონი ზურაბის „შეგნებულობაზე“ მეტყველებს ისიც, რომ ხმაამოუღებლად წავიდა. ხმა რომ ამოეღო, მადლობას კი არა, ისეთ კომპრომატებს გამოუქექავდა პრეზიდენტი, რომ ოქრუაშვილის ბედი სანატრელი გახდომოდა. კომპრომატებით გაჩუმება სააკაშვილის მართვის სტილია: რათა როცა ვინ მოესურვება, ვაცივით განატევოს და განტევებულმა ხმა ვერ ამოიღოს. ერთი ოქრუაშვილი გამოდგა კირკიტი კაკალი, რომელზეც კომპრომატებმა ვერ გაჭრა. ვინ მიხეილ სააკაშვილი და ვინ შეცდომის აღიარება, მაგრამ ალიარა: ოქრუაშვილში შევცდიო. თუმცა მასთან ანგარიშის გასწორება ჯერ არ დაუმთავრებია.

თუ ასეთი თვინიერი იყო ბატონი ზურაბი, რატომღა გაწირაო, იკითხავს ოპონენტი.

იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. თან ხომ არ გადაყვებოდა პრეზიდენტი, განტევების ვაცი იყო და განატევა, თანაც „მადლობით“ გაუშვა, მეტი რაღა ექნა, მასაც ლომაიასავით ხელშეუხებლად ხომ ვერ აქცევდა. თანაც გემმა ჩაძირვა დაიწყო და ვილაც წონიანი უნდა გადაეგდო ზღვაში. მაშ რისთვის ჰყავდა „შემონახული“?! პრემიერ-მინისტრის გაწირვა ეფექტიანიც იყო და გამართლებულიც: მართალია, იგი არაფერს აკეთებდა, მაგრამ აღარც არაფერს აფუჭებდა. აბა, ბენდუქიძეს ხომ არ გაწირავდა, მას ჯერჯერობით კიდევ რაღაც დარჩა გასაფუჭებელი. იგივე ითქმის ვანო მერაბიშვილზეც, რომელიც უეჭველი „ვაცია“, მაგრამ ხელშეუხებელ ახალაიას ჯერ კიდევ ბევრი სიბინძურე აქვს მასზე შესაწმენდი.

მგელს მგლობა ეთქმოდა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.

როდესაც ბატონმა ვანომ პატრული შექმნა და ხალხის სამსახურში ჩააყენა, საზოგადოება კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ახალაიამ და კომპანიამ, გირგვლიანის და სხვა საქმეებით სახელი გაუტეხეს მასაც და მის უწყებასაც. შინაგან საქმეთა მინისტრი სიამოვნებით მოიშორებდა და პასუხისგებაშიც მისცემდა განყოფილების უფროსის „თანამდებობიდან გადამდგარ“ მოადგილეს, მაგრამ რა უქნას ამ სააკაშვილს, რომელიც გადაფაფრებულია მასზე და კბილებით იცავს. თუმცა ახალაიას ვინ ჩივის, თვითონ პრეზიდენტიც, თავისი „სპეცნაზებისა“ და „პატრიოტული რაზმების“ მხეცობებით, არანაკლებ ტალახს ასხამს პოლიციასაც და მის მინისტრსაც. შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ 7 ნოემბერს ხალხზე თავდასხმაში ჩვეულებრივი პოლიციელები აშკარად პასიურობდნენ, მაგრამ ვილაც-ვილაცები შეგნებულად ცდილობდნენ, პოლიციაზე გადატეხონ ჯოხი.

მართლაცდა, რაში უნდა აძლევდეს ხელს პრემიერ-მინისტრს ან შინაგან საქმეთა მინისტრს, თავიანთი უწყებებისათვის სახელის გატეხა? როგორც ჯუმბერ პატიაშვილი ვერ იქნებოდა დაინტერესებული 9 აპრილის სისხლისღვრით, ისე ზურაბ ნოღაიდელი და ვანო მერაბიშვილი არ შეიძლება დაინტერესებული ყოფილიყვნენ 7 ნოემბრის სადიზმით.

ბატონ ზურაბს კაცის ფერი აღარ ედო, როდესაც იმ ავბედით საღამოს „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადება აიძულეს. იგრძნო, რომ სააკაშვილის გვერდით მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო, თუმცა გადადგომა არ უთხოვია. ისინი შენი ნებით გადადგომასაც არ გაპატიებენ. შენი გადაყენებაც რაღაცაში უნდათ გამოიყენონ. და გამოიყენეს კიდეც: წინასაარჩევნო „ნამუსის მოსაწმენდად“.

უეჭველია, არც ვანო მერაბიშვილს გაუხარდებოდა მისი უწყების სახელით საზოგადოებრივი მასშტაბის დანაშაულის ჩადენა. როგორც დასავლეთის პრესამაც აღნიშნა, ბატონ ვანოს დაუჩივლია, რომ დარბევის დროს გარკვეულ ჯგუფებს უფლებამოსილებისთვის გადაუმეტებიათ, რაც გამოძიებული იქნება და დამნაშავენი სათანადოდ დაისჯებიანო. მაგრამ პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ წერტილი დაუსვეს მის ჩივილს: „ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდაო“. „საკუთარ ტყავზე“ ზრუნვა დამსახურებად არ ჩაეთვლება ვანო მერაბიშვილს და უნდა ვივარაუდოთ, რომ არჩევნების შემდეგ ისიც ნოღაიდელს მიჰყვება. ალბათ, ამას გულისხმობდა მიხეილ სააკაშვილი სულ ახლახან, ინგა გრიგოლიასთან ინტერვიუში, რაღაც „გადახალისებაზე“ რომ ლაპარაკობდა. ასე რომ, ჩვენი ვანო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან სხვისი ცოდვები აქვს აკიდებული და მისი მშვიდობიანად გაშვებაც იოლი არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილი და ახალაია თავიანთ თავებზე ხომ ვერ დაიწერენ „მის“ ბოროტმოქმედებას!

რაც შეეხება კახა (თუ ალექსანდრეძ ლომაიას, იგი თავიდანვე ხელუხლებელთა კატეგორიაში მოიაზრებოდა და, ამ თვალსაზრისით მისი დაწინაურება ისეთივე კანონზომიერი მოვლენა გახლდათ, როგორც თავის დროზე კემულარიას დაწინაურება. უშიშროების საბჭო, ჩანს, დისკრედიტებულ ხელშეუხებელთა დასაწინაურებელი ადგილია. ბ-ნი სოსო ცინცაძე გვაიმედებს, „უახლოეს მომავალში (მაქსიმუმ არჩევნების შემდეგძ მთავრობის კაბინეტის ძირეულ გადახალისებას უნდა ველოდეთო“ (სხვათა შორის, მან ერთი დღით პრეზიდენტსაც კი დაასწრო „გადახალისების“ პროგნოზიძ. მაგრამ საეჭვოა, რომ იგი ხელშეუხებლებს შეეხოს. თუ მაინც იძულებული გახადეს ხელშეუხებლებიც „გადაახალისოს“, ადვილი შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბოკერია, ახალაია და გვარამიაც (რურუა უკვე შიგ არისძ, კემულარიასა და ლომაიასთან ერთად, უშიშროების საბჭოში დაწინაურებულები ვიხილოთ. გივი თარგამაძეს, უნდა თუ არ უნდა, მოუწევს ხსენებული საბჭოს დაცლა, რადგან იგი, ძალიან თავს კი იდებს, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, შვიდეულში არ უნდა იყოს მოაზრებული. თანაც, ბოლოს და ბოლოს, რეზინისა ხომ არ არის ეს „საბჭო“. ან რა აქვთ იქ ამდენი საბჭო? ისე, ორმაგი მადლი კი იქნება: ბ-ნი გივის პირიც დაისვენებს პატრონისაგან და საზოგადოებაც მისი პირისაგან.

ერთ რამეში კი ნამდვილად ვერ დავეთანხმები ბ-ნ სოსოს: თითქოს „პრეზიდენტი კადრების საკითხში „ძუნწი“ იყოს, არ უყვარდეს ძველ თანამებრძოლებთან განშორება“.

მე მგონია, თანამშრომლებს გააჩნიათ: ვისაც თავიდანვე ხელშეუხებლობის სტატუსი აქვთ, მოჰკალი და განაშორე მათგან; მაგრამ ვისაც განტევების ვაცის სტატუსი აქვთ – მათგან განშორება ქიტოშვილზე იოლია.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

***ამ ბოლო ხანს ჩვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება ბელგიის მოქალაქის ომარ ხახაშვილის მწვავე ანალიზური წერილები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ წერილებმა მკითხველის ყურადღება მიიპყრო. რედაქციამ მრავლად მიიღო შეკითხვა, თუ ვინ არის ბატონო ხახაშვილი, რატომ არის ის ბელგიის მოქალაქე. დღეს შესაძლებლობა გვაქვს, გაგაცნოთ მისი ბიოგრაფიული მონაცემები.***



***ომარ იორდანეს ძე ხახაშვილი** დაიბადა თბილისში, ნაძალადევში, 1937 წელს. მშობლები წარმოშობით თიანეთის რაიონიდან იყვნენ.*

*1956 წ. დაამთავრა თბილისის მე-16 საშუალო სკოლა.*

*1957-1962 წწ. სწავლობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტზე. 1962 წ. სექტემბერში, სწავლის დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტმა მიავლინა სსრკ გეოლოგიურ კომიტეტში, მალის რესპუბლიკაში (აფრიკა) თარჯიმნად. 1956 წლის თბილისის ტრაგიკული ამბების შემდეგ, რეგულარულად დაიწყო უცხოური რადიოსადგურების („ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „ბიბისი“, „გერმანული ტალღა“) მოსმენა, რაც, ბუნებრივია, უცხოეთშიც გააგრძელა, მით უმეტეს, რომ იქ მათ ვეღარ ახშობდნენ. მაგრამ როდესაც სამშობლოში დაბრუნდა, ცუდი დახასიათება დაუწერეს მოსკოვში და აცნობეს მის ინსტიტუტს, სადაც საშუალება აღარ მისცეს, იქ დაბრუნებულიყო და სწავლა ასპირანტურაში გაეგრძელებინა. ამან ცხოვრების ასპარეზი გაუფუჭა. ვეღარსად დაიწყო მუშაობა სპეციალობით. უშიშროების ორგანოებში მუშაობაზე კი პრინციპული უარი თქვა.*

*სხვადასხვა დროს მუშაობდა არასპეციალობით. პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას (1978 წელს გამოიცა რომენ როლანის „ჟან-კრისტოფის“ ქართული თარგმანი მისი მონაწილეობით), სწავლობდა ისტორიას, ენათმეცნიერებას, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, პოლიტოლოგიას. ეროვნული მოძრაობის პერიოდში აქვეყნებდა, პუბლიცისტურ სტატიებს აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე სხვადასხვა გაზეთში („მამული“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ერთობა“, „კავკასიონი“ და სხვ.).*

*1995 წ. ივნისში იძულებული გახდა, ოჯახიანად დაეტოვებინა სამშობლო და თავშესაფარი ეთხოვა ბელგიის სამეფოს ხელისუფალთათვის.*

*მიიღო ბელგიის მოქალაქეობა.*

*არის სასამართლოს ნაფიცი მთარგმნელი.*

*ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.*

*საქართველოში ჰყავს ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები.*

*უყვარს სამშობლო და სურს, ბოლოს და ბოლოს, მასაც ეღირსოს ევროპული სახის სამართლებრივი სახელმწიფო. ეს სურვილი აღებინებს ახლაც დროდადრო ხელში კალამს.*

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# ამომდგარი ქვეყანა

• ომის მონაწილეთა განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში მიცემული დაპირებები გაქრა. ამ კატეგორიის ხალხის ბედით არავინ ინტერესდებოდა. მონაწილეთა სიების დაზუსტების შემდეგ პრობლემები შეექმნათ რეგიონში მცხოვრებთ. გასაცემი თანხები 2-3 თვე, ზოგჯერ უფრო მეტი ხნით გვიანდებოდა, ზოგჯერ საერთოდაც არ აძლევდნენ



## 5 იანვარი ახლოვდება

*ოთხი წლის წინათ საპრეზიდენტო არჩევნებში პირველი პირობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანა დაპირებებით აავსო. იმ დაპირებების მიხედვით მოსახლეობის ყველა კატეგორიის საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატი განსაკუთრებით უხვად იძლეოდა დაპირებებს პენსიონერების, იძულებით გადაადგილებულების, ინვალიდების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთა, ამ ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრთა მიმართ... როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ეს მხოლოდ წინასაარჩევნო ფანდი იყო. ამგვარი ნაბიჯი არც იყო გასაკვირი. ჩამოთვლილი კატეგორიის მოქალაქეები, მათი ოჯახის წევრები, ახლობლები ხომ ამომრჩეველთა ელექტორატის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.*

# ყოფილმა პრეზიდენტმა ყველა ფუთა არჩევნების წინ გახსნა



### რეფორმები „პრივილეგირებული“ კასტის წინააღმდეგ

**წინასაარჩევნო დაპირებები სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაივიწყეს. არჩევნებიდან ცოტა ხანში მთავრობამ საპენსიო დახმარებებისა და შეღავათების სფეროში რეფორმები ჩაატარა. გააუქმეს ერთ-ერთი ყველაზე ხელმოკლე ფენისათვის დაწესებული ფულადი დახმარებები. ყოველივე ჩატარდა ეგიდით — პრივილეგირებული კასტისთვის დაუმსახურებელი დახმარებების (სახელმწიფოს მხრიდანძ გაუქმება.**

**გურამ ჩარგეიშვილი (პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკიძ:** „ჩატარდა სრულიად გაუმართლებელი საპენსიო რეფორმა. რეფორმის მიხედვით, ჩემს შემდეგ იგივე თანამდებობაზე მომუშავე და ერთი წლის შემდეგ თადარიგში გასული ოფიცერი ჩემთან შედარებით გაორმაგებულ პენსიას იღებს. რატომ? ჩვენ ხომ ერთსა და იმავე თანამდებობაზე ვიყავით, თანაბარი წოდებები გვქონდა და სამუშაოც“.

პენსიონერთა რეფორმის პარალელურად ამაზრზენი რამ ხდებოდა. მაგალითად, პოლიციაში ხალხი, რომელთაც 20-წლიანი მუშაობის სტაჟის შევსებამდე თვეებიღა რჩებოდათ, შემცირებაში მოაყოლეს. მიზეზი ის იყო, რომ ბიუჯეტიდან პენსიები არ გაეცათ (20-წლიანი სტაჟი სავალდებულოა თადარიგში გასვლისას პენსიის დანიშვნის დროსძ. პროფესიონალები, ამაგდარი ხალხი, უსახსროდ დატოვეს. არადა, სამოქალაქო საპენსიო ასაკამდე (65 წელიძ ზოგს 10-15 წელი აკლდა.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება დღეს ფიანდაზად გაგებულ და „ხალხისთვის სამსახურში ანთებულ“ პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილს ხმა მივცეთ? „მას ახლა ვჭირდებით. რაღაც მიზერულ დახმარებას მოგვიგდებს, გაპრეზიდენტების შემდეგ ამასაც გაგვიუქმებს. ჩემს აზრს ბევრი უკანონოდ დათხოვნილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოქმედი ორგანოს თანამშრომელიც იზიარებს“.

ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთ კანონი უწესებს შეღავათებს, დახმარებებს. არსებობს კანონი მათი უპირველესი დასაქმების თაობაზე.

**რომან ალაფიშვილი (ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილეძ:** „წინა ხელისუფლებამ „გადაგვაგდო“, მხოლოდ მიზერული დახმარებები დაგვიწესა. ჩვენ ყველანი იმედიანად ვუყურებდით „ვარდებით“ მოსულთ, იყო უამრავი დაპირება, მაგრამ ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდების შემდეგ, ახალგაზრდა ხელისუფლებამ ყველაფერი დაივიწყა. ახალმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად უგულებელყო კანონი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეთა განსაზღვრული შეღავათებისა და გარკვეული პრივილეგიების შესახებ. საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან (შსს, თავდაცვა და ა. შ.ძ ერთი ხელის მოსმით გამოყარეს ბრძოლებში მონაწილენი, მათთვის ასევე კანონით დაწესებული კომპენსაციებიც არ მიუციათ. არ შეუთავაზებიათ სხვა სამუშაო ადგილი (რასაც კანონი ოფიციალური სტრუქტურების ხელმძღვანელებს ავალებსძ.

დღეს ათასჯერ გვიმეორებენ, რომ ომის მონაწილეებს, ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს დახმარებები გაეზარდათ. მაგრამ ეს ბლეფია! კარგად რომ დავიანგარიშოთ, ვითომდა მომატებული თანხა გაცილებით ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც სახელმწიფოსგან ადრე ვიღებდით. ომის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა დაუსაქმებელია.

როგორც ირკვევა, სააკაშვილის დაპირებები წინასაარჩევნო აგიტაცია ყოფილა მხოლოდ. ოთხი წელი დაპირებული მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, დღითი დღე გვიუარესდებოდა საყოფაცხოვრებო პირობები. აშკარად მოგვატყუეს. უკვე აღარავის სჯერა მისი დაპირებისა“.



### ხელისუფლების გულგრილობა დაბალმა ეშელონებმაც აიტაცეს

**ვეტერანები კმაყოფილებით შეხვდნენ ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბრძოლებში მონაწილეთა ზუსტი რაოდენობის დადგენის თაობაზე. მათი აზრით, ამ ნაბიჯით ხელისუფლება ცდილობდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა გარჯის დაფასებას. რადგანაც ჩამოშორდებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც „ჩაწყობებით“ სარგებლობდნენ პრივილეგიებით. მათ უმეტესობას იმ დროს კაბინეტებიდან თავი არ გამოუყვია, იყვნენ ავადმყოფობის ფურცელზე, ან სულაც — საზღვარგარეთ.**

ომის მონაწილეთა განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში მიცემული დაპირებები გაქრა. ამ კატეგორიის ხალხის ბედით არავინ ინტერესდებოდა. მონაწილეთა სიების დაზუსტების შემდეგ პრობლემები შეექმნათ რეგიონში მცხოვრებთ. გასაცემი თანხები 2-3 თვე, ზოგჯერ უფრო მეტი ხნით გვიანდებოდა, ზოგჯერ საერთოდაც არ აძლევდნენ. კუთვნილის მიღების მოთხოვნით მისულთ თითოეული ჩინოვნიკები აგდებულად უპასუხებდნენ — ჩემგან რას ითხოვ, ომში მე ხომ არ გამიშვიხარო. განსაკუთრებულ აგრესიულობას იჩენდნენ ჩერნობილისა და ავღანეთის მოვლენების მონაწილეთა მიმართ.

**ზურაბ მახათელი (ავღანეთის ბრძოლების მონაწილეძ:** „ავღანეთში ჩვენი სურვილით არ მივდიოდით. წვევამდელთა უმეტესობამ არც კი ვიცოდით სად მივყავდით. ჩაგვსვამდნენ თვითმფრინავში და მერე ვდგებოდით ფაქტის წინაშე. ზუსტად ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ ჩერნობილისთვის განწირულებიც. ამის შემდეგ ჩვენთვის რაიმე წამოძახება უსინდისობაა.

სააკაშვილი ოთხი წლის წინათ ოქროს გორების დადგმას გვპირდებოდა, მაგრამ არაფერიც არ გაუკეთებია. პირიქით, ჩვენთვის ყველაფერი უარესობისკენ წავიდა. ახლა გამოფხიზლდა, როდესაც არჩევნები მოადგა კარზე.

### ფულით ნაყიდი ერთგულება

**არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილმა მრავალი სფერო გაიხსენა, ჯერ კიდევ პრეზიდენტმა გასცა განკარგულება ერთ დროს მივიწყებული და „ჩარეცხილი“ ხალხის დაფინანსების ასტრონომიულად გაზრდის თაობაზე. ამ წყალობას ყოვლად გაუმართლებლად და ქვეყნის ეკონომიკისათვის დამანგრევლად მიიჩნევენ დამოუკიდებელი ექსპერტები, პროფესიონალი ეკონომისტები.**

**იური კოპაძე (დამოუკიდებელი ექსპერტი, ეკონომისტიძ:** „თვალში საცემია ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა მივიწყებული კატეგორიის ადამიანები მხოლოდ არჩევნების წინ გაიხსენა. მთავრობის რეფორმამ, რომლის მიხედვითაც პენსიონერებსა და სხვა დაბალი შემოსავლის მქონე ფენებს „დაუმსახურებლად ბიუჯეტიდან თანხების მიღება“ სარჩულად დაუდეს და ყოველგვარი შეღავათები გაუუქმეს, ეს ხალხი, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გასწირა. იმავე დროს ხელისუფლებამ სერიოზული ფინანსური დისბალანსი შექმნა მისთვის სანდო ხალხისა და ჩვეულებრივ მოქალაქეთა პენსიებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი კომპენსაციას იღებს 1200 ლარის ოდენობით. იგივეს იღებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეც. პარლამენტის ყოფილი წევრის, სხვა ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის მთავრობამ საკომპენსაციოდ 560 ლარი გამოყო. პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნილთათვის 375, ხოლო შსს-ს, საფინანსო პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის ყოფილი თანამშრომლებისთვის — 150 ლარი.

თანხების გამოყოფა ყოველგვარი ეკონომიკური გათვლების გარეშე ხდებოდა. ამ შემთხვევაში წინა პლანზე არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხები იწევდა. სააკაშვილი თავის გუნდს კომფორტულ ცხოვრებას უწყობდა, ძირითად საყრდენ ძალას — სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ერთგულებისათვის მაღალ ანაზღაურებებს უნიშნავდნენ და, პენსიაზე გასვლის შემდეგაც, უზრუნველყოფილ სიბერეს სთავაზობდნენ“. აი, ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახებს ბიუჯეტიდან 45 ლარს აძლევდა, ხოლო მონაწილეებს — მხოლოდ 24 ლარს (აქედან 2 ლარი ბანკს მიაქვს მომსახურებისათვისძ.

იხ. 14 გვ.

## ინფორმაცია

### პროვოკატორებს ადანაშაულებენ

**ბუნებრივ აირთან დაკავშირებულ პროვოკაციებსა და საბოტაჟზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.**

**როგორც უგულავამ განაცხადა, საბოტაჟი არეულობის გამოწვევის მცდელობით აიხსნება.**

**მისივე თქმით, სამართალდამცველებსა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ხელმძღვანელობას შესაბამისი დავალება მიეცათ.**

**— გაზი საკმარისია იმისთვის, რომ თბილისი მთლიანად უზრუნველყოფილი იყოს. არის ცალკეული შემთხვევები. გუშინ მოხდა ასეთი შემთხვევა, რომელსაც აშკარად აქვს საბოტაჟის ნიშნები. როგორც წესი, ეს არის ან ყოფილი თანამშრომლის ან კიდევ სხვა რამის ბრალი, რასაც პოლიცია ადგენს. მიზანი კი არეულობის გამოწვევაა, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.**

**მისივე თქმით, საბოტაჟის მომწყობი პირი უმკაცრესად დაისჯება.**

**საბოტაჟზე იყო საუბარი „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ხელმძღვანელების გუშინდელ ბრიფინგზეც. როგორც ბრიფინგზე ითქვა, გუშინ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წინააღმდეგ. ჯგუფმა გლდანის გაზგამანაწილებელ სადგურში არასანქცირებული ჩაჭრები განახორციელა, რის შედეგადაც შეიზღუდა გლდანის გაზმომარაგება და გაითიშა 15 გაზგამანაწილებელი სადგური.**

### გლდანში რიგით მეთერთმეტე სტადიონი გაიხსნა

**თბილისში, გლდანის II მიკრორაიონში რიგით მე-11 კომბინირებული სპორტული სტადიონი გაიხსნა.**

**დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ სპორტული მოედანი გუშინ სპორტსმენებთან ერთად გახსნა.**

**მოედანზე მოზარდებს ფეხბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის თამაში შეეძლებათ.**

### ბიბლიოთეკებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

**შვეიცარიისა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

**როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან იტყობინებიან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და შვეიცარიის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი დაიდო.**

**მემორანდუმს, რომელიც ქალაქ ბერნში გაფორმდა, ხელი მოაწერეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ბორის გაგუამ და შვეიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა მარი-კრისტინ დოფეიმ.**

**ინტერპრესნიუსი**

# საზოგადოება

**• პრეზიდენტობის კანდიდატები კი ბევრი გვყავს, მაგრამ ამორჩევა მაინც ჭირს. დაპირებები ყველამ კარგად იცის, მაგრამ სიტყვის შესრულებაა მთავარი**



## მინაწერის მაგიერ

# აკი, არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო?!

**(მეორე გვერდიდან)**

— „იმედი“ წამგებიანი კომპანიააო, — აღნიშნა ბატონმა ლადო გურგენიძემ.

— თუ ქვენაგრძნობები არ ამოძრავებს, რად ინახავს პატარკაციშვილი წამგებიან „იმედს“, რომელსაც 19 მილიონი ლარის დავალიანება აქვსო? — ტელეეკრანიდან დაახლოებით ასე ბრძანა რამდენიმე დღით ადრე გენპროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამაც.

რაო, „ხალხზე გამარჯვებული“ „რუსთავი-2“ მომგებიანი იყო, ბატონებო?

**იმდროინდელი კურსით 9 მილიონი დოლარი განა 19 მილიონ ლარზე ბევრად ნაკლები იყო?**

ხომ აპატიეს „რუსთავი-2“-ს ის დავალიანება?

მისი ვალი რესტრუქტურიზებულიაო, გვიმტკიცებენ.

**მეტი არაა მტერი!**

— მთავრობის მოთხოვნაა, კვარტალში ერთხელ მაინც მიეცეს „იმედის“ ფინანსური მდგომარეობის შემოწმების საშუალებაო, — აღინიშნა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა.

შემოწმების წინააღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ რატომ მხოლოდ „იმედისა“?

**„იმედი“ შფოთს თესავს, ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ მოუწოდებს და ამიტომაც დავხურეთო.**

**რაო, თავის დროზე „რუსთავი-2“ მთავრობას მხოლოდ იავნანას უმღეროდა? ხალხს მხოლოდ არსებული ხელისუფლების ერთგულებისკენ მოუწოდებდა?**

ან კიდევ, როდესაც ბიუჯეტისადმი მისი სერიოზული დავალიანების შესახებ გახდა ცნობილი ხელისუფლებისთვის, დაგავიწყდათ, რა ამბები აუტეხეს ტელეკომპანიაში შესამოწმებლად მისულ სპეცსამსახურის მუშაკებს?

**— თავისუფალ სიტყვას საფრთხე ემუქრებაო,** — აიყალყა მაშინ არცთუ მხოლოდ საკუთარი ინიციატივით შეკრებილი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა.

**არ იყვნენ მაშინ იმ საპროტესტო მიტინგ-აქციების თითქმის ორგანიზატორები იმჟამინდელი პარლამენტის ცალკეული ხელმძღვანელები თუ ცნობილი დეპუტატები, ახლანდელ საპარლამენტო და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც საკვანძო თანამდებობები რომ უკავიათ?**

სად იყავით მაშინ, ბატონებო და ქალბატონებო?

**სად იყავით, სად იყავით მაშინ, როს „რუსთავი“ ხუთ, ათ „იმედს“ სჯობდა?**

რა თქმა უნდა, იმ „განხრით“, რა განხრითაც ახლა „იმედს “ არ უშვებენ ეთერში.

მთავარი კითხვა კი მაინც, მისივე ღრმა რწმენით, ექსპრეზიდენტად მხოლოდ თვენახევრით ჩამოლაპარაკებულ მიხეილ სააკაშვილთან მაქვს:

**აკი, არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო, ბატონო მიხეილ?!**

**ეჰ, ვერავის, თვით პრეზიდენტის სიტყვა-დაპირებასაც ვერ უნდა ვენდოთ?**

**ვაითუ, ამ დღეებში ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან მისი შეხვედრისას უხვად გაცემულ დაპირებებსაც იგივე ბედი ეწიოთ!!!**

**რუსლან რუსია**

## რას ფიქრობს ხალხი

# ხმის მეტი არაფერი დაგვიტოვა ამ ხელისუფლებამ

**თამარ საგანელიძე, სტუდენტი:** მიხარია, რომ მალე არჩევნები იქნება, აუცილებლად მიშა სააკაშვილს მივცემთ ხმას მე და ჩემი მეგობრები, ახალგაზრდა კაცია და ახალგაზრდები ძალიან უყვარს. მე მომწონს მის მიერ გაწეული მუშაობა და მწამს მისი.

**— ბევრები არც სხვა კანდიდატები არიან.**

— მართალია, მაგრამ მე მაინც ჩვენი მიშა მირჩევნია ყველას.

**ერმალოზ ერგემლიძე, პენსიონერი:** ჩვენს პრეზიდენტს დიდი შანსი ჰქონდა გამხდარიყო ნამდვილი დემოკრატი, მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა. ქართველ ბიჭებს ისევ ქართველები აცემინა, ხომ ვნახეთ კადრები. მადლობა ტელეკომპანია „იმედს“. მართლა, ხომ არ იცით, როდის აღადგენენ ამ ტელეკომპანიას?

**— ვერაფერს გეტყვით, ინფორმაცია არ მაქვს.**

**თამილა გერსამია, ბიბლიოთეკარი, ამჟამად უმუშევარი:** პრეზიდენტი სიტყვით გვიმტკიცებს, რომ ის წიგნების, კულტურის დიდი დამფასებელია, როგორ ვირწმუნო ეს, როცა თბილისში ერთი წიგნის მაღაზიაც არ დატოვეს გაუყიდავი, წიგნებს დამალულად, მიწისქვეშა გადასასვლელებში თუ ყიდიან, ახლა ბიბლიოთეკებსაც მისდგნენ.

მაგრამ, საოცარი იცით, რა არის? ვისაც თავზესაყრელად აქვს ფული, წიგნი არ აინტერესებს, ვისაც წიგნი უყვარს, მას ფული არა აქვს. სამი შვილიშვილი მყავს. კიდევ კარგი, ჩემი შვილების წიგნები მქონდა შენახული და იმათ ვაძლევ შვილიშვილებს. რამდენიმე წლის წინათ წიგნები არც იბეჭდებოდა, ახლა, ამ მხრივ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბუმია, მაგრამ ჩემისთანა ხალხისთვის ხელმიუწვდომელია მეტისმეტი სიძვირის გამო. არადა, რამდენი კარგი, ლამაზი წიგნი გამოვიდა. „საბავშვო სახარება“ მინდოდა მეყიდა, 25 ლარი ღირს. ასეა სხვა წიგნებიც. ხალხი ვერ ყიდულობს, თაროებზე კი ბლომად აწყვია. არ სჯობს, ფასს დააკლონ და რაოდენობაში მოიგონ?

**გიორგი ჩარექიშვილი, ინჟინერი:** პრეზიდენტობის კანდიდატები კი ბევრი გვყავს, მაგრამ ამორჩევა მაინც ჭირს. დაპირებები ყველამ კარგად იცის, მაგრამ სიტყვის შესრულებაა მთავარი. თავისსას რომ გაინაღდებენ, მერე დანაპირებიც ავიწყდებათ. შეიძლება, სულაც არ წავიდე არჩევნებზე.

**— ასე არ შეიძლება, უნდა წაბრძანდეთ და თქვენი არჩევანი გააკეთოთ.**

— არ ვიცი, გენაცვალე, ვნახოთ, თუ პროგრამებს გამოაქვეყნებენ, წავიკითხავ და ვნახოთ. ეს საკითხი ჩემთვის მეორეხარისხოვანია. ბევრი რამ მაწუხებს. ორი შვილი მყავს, ორივე უმუშევარია. ერთი რძალი წავიდა უცხოეთში და არჩენს ორ ოჯახს. განა ეს საქმეა?

**ნიკო ჩუბინიძე, მუშა:**

**— ბატონო ნიკო, საარჩევნო ციებ-ცხელება უკვე დაიწყო. პრეზიდენტი უკვე გადადგა. ახლა ჩვენს „განაჩენს“ ელოდება, ასევე ემზადებიან სხვა კანდიდატებიც. თქვენ ვის დაუჭერთ მხარს?**

— სააკაშვილს, რომელმაც ყველაფერი გაყიდა.

**— მხოლოდ ამიტომ?**

— სხვა რომ მოვიდეს, ახლა ის დაიწყებს ახალ რევიზიას, ჩამოართმევს ბევრს და კვლავ გაყიდის, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ისევ ძველი პრეზიდენტი დარჩეს, ჯობს, თორემ ცოდოა ხალხი.

**თეო გაბისონია, უმუშევარი, 4 შვილის დედა:**

**— რატომაა მიშა მაგარი?**

— მე მეკითხებით? მე თქვენთვის მინდოდა შეკითხვის დასმა.

**— ჟურნალისტი ვარ, ხალხის აზრი მაინტერესებს, რას ამბობს, რას ფიქრობს ხალხი.**

— კი, ბატონო, ჩემს კითხვას თავად გავცემ პასუხს. არ მეშინია. პრეზიდენტი აცხადებს, — „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველო, როგორც სახელმწიფო არ არსებობდაო. რატომ უკარგავს პირველ, არჩეულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას დიდ ღვაწლს? ასე არ შეიძლება. სხვისი დაფასება უნდა ვიცოდეთ, თავად რომ დაგვაფასონ. ჩემს სიტყვას არჩევნებზე ვიტყვი, ხმის მეტი მაინც არაფერი არ დაგვიტოვა ამ ხელისუფლებამ.

**ჟურნალისტი (მთხოვა, ვინაობა არ გამემხილა):** 20 წელია კოსტავას ქუჩაზე მდებარე გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში ვმუშაობდი, ერთ-ერთ რედაქციაში. რაც მოხდა, ყველამ იცის, თქვენთან ერთად ჩვენც და ათობით რედაქციაც გამოყარეს ამ შენობიდან. თანხა არ გვაქვს, ფართი რომ ვიქირაოთ, ორი დღის წინათ „სამშობლოში“ თვალს არ ვუჯერებდი ისეა იარქმნილი იქაურობა. ვერც ყიდიან, როგორც ჩანს, მყიდველი ვერ იპოვნეს. ის კი არა, ჟურნალ-გაზეთების ყიდვა-გაყიდვაც აკრძალეს შენობის წინ და ამიტომ მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე ყიდიან პრესას. წვიმაში გამყიდველიც სველდება და წვალებით გამოსული გაზეთებიც. მიკვირს, ჩვენს პრეზიდენტს პრესა ასე რატომ შესძულებია, რა დავუშავეთ, გვითხრას მაინც, რა უნდა, რისთვის გაგვიმეტა? ამიტომ დანდობას ჩვენგან ნუ ელის.

**ნუგზარ ბარბაქაძე, ინჟინერი:** ძალიან მაინტერესებს, რომელი კანონის საფუძველზე ჩამოართვა საკუთარი ქონება ხალხს სააკაშვილმა და ახლა რომელი კანონით უბრუნებს? თაბუკაშვილის ქუჩაზე აშენებული სახლიდან ხომ უსაფუძვლოდ გამოყარეს ხალხი? ჯერ თქვეს, ეს სახლი წუნდებულია, არასწორად არის აშენებულიო, მერე გაირკვა, რომ ინვესტორი არსებობდა, რომელიც დაზარალებულებს ბინით დაკმაყოფილება დაჰპირდა, ეს ხომ ხალხის აბუჩად აგდებაა. ასე როგორ შეიძლება? ეს ხომ ფულიანი ხალხის აღზევებაა, რაც უსათუოდ პროტესტს გამოიწვევს?! ხომ ცნობილია — ძალადობას ძალადობა შობს.

**ნაირა მუშკუდიანი, ქიმიკოსი, შენობის გასხვისების შემდეგ უმუშევრად დარჩენილი:** — ერთხელ პრეზიდენტმა თქვა (თავად მოვისმინე), სამუშაოზე მოწყობა ძნელი არ არის, ცოტა მიდექ-მოდექითო. დედაჩემი, მაგალითად, ხუთ სამსახურში მუშაობს, ყველგან ყველაფერს ასწრებსო.

მომკალით და არ მჯერა. როგორ შეიძლება ერთდროულად ხუთ სამსახურში დადიოდეს? თუ მართლა მუშაობს, მით უარესი მისთვის. ეს პრეზიდენტის დედისთვისაა, ალბათ, შესაძლებელი თორემ საწყალი ხალხისთვის არაფერი არ არის.

**გიორგი მუშკუდიანი, ვეტერანი:** — პენსიების და ხელფასების გაზრდა ახლა გახდა შესაძლებელი? ახლა გაიგო პრეზიდენტმა, რომ ხალხს უჭირს? ან 200 ლარი რა არის, პედაგოგს რომ უნდა მისცეს ხელფასი? მერიაში კურიერის ხელფასი 300 ლარია. ასეთი დიფერენციაცია როგორ შეიძლება? სახელმწიფოს სათანადო ფული არ აქვსო, საიდან ექნება, გაიხსენონ, რამდენი აქვთ თვეში მინისტრებს, მათ მოადგილეებს, პარლამენტარებს, მათ მანქანებიც უფასო აქვთ, მობილური ტელეფონებიც. თუ გაჭირვებაა, ყველამ გავიჭირვოთ... აი, მაშინ ეშველება სახელმწიფოს. ქიტოშვილს რომ 14 ათასი ლარი ჰქონდა ხელფასი თვიურად, ახლა გაიგო პრეზიდენტმა? 12 თუ 11 ათასი ლარი არ აქვს დღეს ხელფასი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს თამარ კინწურაშვილს? რას აკეთებს ასეთს? ეს ფული ხომ ჩვენი ჯიბიდან მიდის. თქვენმა გაზეთმაც დაწერა ამის შესახებ, მაგრამ რა? პასუხი მიიღეთ? ალბათ, არა! ჰოდა, ნურავის ეწყინება, ხმა ჩემია და ვისაც მინდა იმას მივცემ, ხმა ერთადერთია, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, არც არავის მივყიდი...

ჩაიწერა
**ნაზი იმნაიშვილმა**

## გვწერენ

# იქნებ ჩვენც მოგვხედონ

**მეცნიერებათა აკადემიისკენ პრეზიდენტისა და ხელისუფლების მკვეთრმა შემობრუნებამ ჩვენც, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიანტების ნაწილს იმედის ნაპერწკალი გაგვილვივა.**



2006 წელს მიღებულმა კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ იმ წლის ბოლომდე დისერტაცია დაცული მეცნიერებათა კანდიდატებით აკადემიური ხარისხით გაუთანაბრა დოქტორის აკადემიურ ხარისხთან (მუხლი 89, პუნქტი 9ძ.

ამ კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ მიიღეს ახალი კანონი „სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“, რომელშიც მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები ხარისხით გათანაბრებულები იყვნენ და აკადემიური სტიპენდიები დიფერენცირებულად დანიშნეს — კანდიდატებს 20 ლარით ნაკლები დაუნიშნეს, რითაც დაზარალდა 2300-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

როგორც გამოცდილი იურისტები ამბობენ, ეს არის ნონსენსი იურისპრუდენციაში რომლის გამოსწორება საკონსტიტუციო სასამართლოს ექვემდებარება.

ჩვენ მრავალჯერ მივმართეთ საპარლამენტო კომიტეტებს, რათა დაგვხმარებოდნენ ამ შეუსაბამობის გამოსწორებაში. თუმცა დღემდე არაფერი შეცვლილა. ამ გაუგებრობაში კორექტივები არ შეუტანიათ. ახლა, რადგან ბევრი რამ ხალხის სასარგებლოდ იცვლება, იქნებ ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე მაინც დაინტერესდეს 2300-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატის ამ სამართლიანი თხოვნით და, როგორც ამბობენ ხოლმე, „სამარალმა პური ჭამოს“!

**ბეგლარ გოგალაძე,**
**საქართველოს განათლების დაცვის ლიგის პრეზიდენტი**

# დღევანდელობა

**რჩევით მივმართავ ხელისუფლება-ოპოზიციას: წინასაარჩევნო კამპანია რუსეთ-საბერძნეთში და სხვა ქვეყნებშიც გამართონ და არა საქართველოში, ვინაიდან აქ მცხოვრებ ჩინელებსა და თურქებს ჯერ არ აინტერესებთ საქართველოს არჩევნები, მაგრამ როდესაც დაინტერესდებიან, გვიან იქნება**



**აწმყო და პერსპექტივა**

## „საპრეზიდენტო კალმახი“ – იმავე ბადეში?

***მაშ ასე, საქართველოს პრეზიდენტი მომავალი წლის იანვრის დამდეგამდე არ ეყოლება – სახელმწიფოს ახალი მეთაურის 5 იანვრის არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღის წინათ გადადგა. ჩვენი უკიდურესად პოლიტიზებული საზოგადოება ამის შესახებ, ცხადია, კარგადაა ინფორმირებული და ახლა ყველას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: რა შედეგით დასრულდება იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები: ქვეყნის მართვას კვლავაც ერთი მუჭა „ვარდოსნები“ გააგრძელებენ თუ მაინც არის იმედი, რომ ქვეყნის ადმინისტრაცია შეიცვლება და, ბოლოს და ბოლოს, საშინაო პოილტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ჭეშმარიტად პოზიტიური ძვრები მოხდება?***

საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის არაერთიანობამ, როგორც ჩვენი, ასევე უცხოელი პოლიტოლოგების აზრით, თავისუფლად შეიძლება ის შედეგი მოიტანოს, რომ ყველაფერი თავის ადგილას დარჩეს და ამაში, როგორც აღვნიშნეთ, უწინარესად, შიდა ვითარებას ვგულისხმობთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნოემბრის პირველ დეკადაში თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ქვეყნის შიგნით და, ამავდროულად, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს დასავლეთელ მეგობრებში. იქაური პოლიტოლოგების აზრით, ახლა საქართველო, რომელიც ბოლო დრომდე ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, დიდი იმედების მომცემი იყო, ახლა შესაძლოა კიდევ ერთ ცუდად მართვად სახელმწიფოდ იქცეს, რომლის კორუმპირებული ისტებლიშმენტი პირველ ყოვლისა სახელმწიფო ქონების დანაწილებითაა დაკავებული.

7 ნოემბერს მშვიდობიანი მიტინგის სასტიკმა დარბევამ, რის შედეგად ასობით ადამიანი საავადმყოფოებში აღმოჩნდა, ხოლო შემდგომ კი საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ – ყოველივე დასავლეთის პოლიტიკოსებმა გაუმართლებლად მკაცრ ნაბიჯებად შეაფასეს იმ საპროტესტო გამოსვლებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგისთვის რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენდა. დემონსტრაციებისა და მიტინგების სრული აკრძალვა, ასევე რამდენიმე არასამთავრობო ტელეარხისა და რადიოსადგურის თუნდაც დროებით დახურვა – ეს ის ტაქტიკაა, რომელიც, დასავლეთის პოლიტიკოსების აზრით, კრემლსაც კი უხერხულად აგრძნობინებდა თავს.

მრავალ პოლიტიკურ კომენტარში მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ დასავლეთმა სამარცხვინო სიზანტე გამოიჩინა მიხეილ სააკაშვილის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დაგმობისას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა, მართალია, გამოთქვეს მწუხარება მომხდარის გამო და ხელისუფლებას სიმშვიდისკენ მოუწოდეს, თუმცა პირდაპირ არავის განუცხადებია, რომ ძალის გამოყენება მშვიდობიანი საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ ავტორიტარიზმის ერთ-ერთი სამარცხვინო გამოვლინებაა და დემოკრატიულობის გზით მიმავალი ქვეყნისთვის სრულიად დაუშვებელი.

არადა, ეს ნამდვილად იყო გასაკეთებელი. ასევე საჭირო იყო იმის გარკვევაც, თუ რაზე და როგორ დაიხარჯა და ახლაც იხარჯება საზღვარგარეთის ფინანსური დახმარება.

გარდა ამისა, დასავლეთმა ძალღონე არ უნდა დაიშუროს საიმისოდ, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა იყოს ისეთი ძლიერი, ამაყი, თვითმყოფადი, როგორიც საუკუნეების მანძილზე უნდოდა რომ ყოფილიყო, ჰქონდეს რეალურად ეფექტიანი ეკონომიკა, სამართლიანი და არა „ჯიბის“ სასამართლო და თანასწორუფლებიანი სოციალური გარემო. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთს, შესაძლოა, მთელს კავკასიაში ავტორიტეტი შეერყას, ვინაიდან მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას, რომ საქართველოს მხარდაჭერა მხოლოდ ერთგვარი ფასადი იყო კრემლის საწინააღმდეგო ინტრიგების დასაფრავად და საკუთარი ენერგეტიკული პოლიტიკის გასატარებლად.

და კიდევ ერთი. 2008 წლის 5 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ ხელისუფლების დიდ დათმობად ნამდვილად არ ჩაითვლება, – ამ აზრს გამოთქვამენ როგორც სამამულო, ასევე უცხოელი პოლიტოლოგები. ამის თაობაზე ილაპარაკეს 25 ნოემბერს ოპოზიციურ ძალთა მიერ რიყეზე გამართულ მიტინგზე, ეს აზრი გაისმის სხვადასხვა ტელე თუ რადიოგადაცემაში. არსი კი ის არის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემოდგომიდან იანვრამდე (და არა გაზაფხულზე, როგორც ეს მანამდე კონსტიტუციით იყო განსაზღვრული) ნაადრევად გადმოტანა გააზრებული ცინიკური პოლიტიკური ნაბიჯის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის არსია პოლიტიკური ოპოზიციის სათანადოდ მოუმზადებლობასა და ძალთა დაქსაქსულობაზე გათვლა.

**ასეთ „ამღვრეულ“ ვითარებაში კი „საპრეზიდენტო კალმახის“ დაჭერა გაცილებით ადვილია.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**თვალსაზრისი**

## ოკეანის გადაღმელთა სუსტი

**საარჩევნო ციებ-ცხელება ძალას იკრებს. პრეზიდენტობის კანდიდატები – „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“ – სხვადასხვა გზებით მაქსიმალურად ცდილობენ თავი მოაწონონ საზოგადოებას. მათი მცდელობა (განსაკუთრებით ოპოზიციისაძ გაცილებით შედეგიანი იქნებოდა, ტელეკომპანია „იმედს“ რომ ემუშავა. რა გაეწყობა, „კავკასიას“ უნდა დასჯერდნენ, რომლის მოქმედების არეალი, სამწუხაროდ, მხოლოდ თბილისსა და მის შემოგარენს მოიცავს. ვის არ ნახავთ თოქ-შოუებში – პარტიების ლიდერებით დაწყებული ყველა დროისა და ხალხის სათაყვანებელი ჟურნალისტებით, სახელმწიფო მოღვაწითა და დიდი პოლიტიკოსი ქალით, მოროშკინათი დამთავრებული. ამას წინათ საბერძნეთში გადახვეწილი თვითნასწავლი მხატვარი და პოეტი ქალბატონიც სტუმრობდა სტუდიას ცხელცხელი ელადური ამბებით და იმის მტკიცებით, რომ საბერძნეთში 350 ათასი კი არა – 650 ათასი ქართველი ცხოვრობს.**

საბერძნეთისკენ გზა საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა გაკვალეს, შემდეგ მათ ქართველებიც მიჰყვნენ, განსაკუთრებით ქალები. საბერძნეთმა ვერ გაუძლო ლეგალურ თუ არალეგალურ (უმთავრესად არალეგალურძ მოძალებას და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის მიზნით, „მომხდურთა“ დიდ ნაწილს (მათ შორის საქართველოდანძ, საბერძნეთის მოქალაქეობა ან ცხოვრების უფლების დოკუმენტი გაუფორმა. საბერძნეთი ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოა, სადაც შრომითი ანაზღაურება გაცილებით მეტია, ვიდრე მეზობელ თურქეთში. ამიტომაც ქართველმა ქალებმა მისამართი შეიცვალეს და თურქეთის ნაცვლად გეზი საბერძნეთისკენ აიღეს. **მიუხედავად არსებული დიდი ბარიერებისა, მათ მოახერხეს და ახერხებენ თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის არალეგალურ გადალახვას და წარმატებით „მოღვაწეობენ“ დავრდომილ ბერძენთა, ბავშვთა მოვლისა და შინაგოსამსახურე-დამლაგებლის ახლადშეძენილ პროფესიათა ფრონტზე. მეტი რა გზა აქვთ, სამშობლოში ხომ 17-წლიანი პერმანენტული უმუშევრობის ბუმია...**

უცხოეთიდან (მათ შორის საბერძნეთიდანძ გამოგზავნილი ფულით თუ ირჩენს თავს საქართველო. **წლევანდელმა, მხოლოდ ექვსთვიანმა ფულადმა გზავნილმა 700 მილიონს გადააჭარბა. აქედან 500 მილიონი რუსეთზე მოდის.** და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთ-საბერძნეთის საზღვარს ჩვენი მოქალაქეები ყოველდღიურად გადაკვეთავენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ საბერძნეთში 650 ათასი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდეს. მართალია რუსეთთან შემოღებულმა მკაცრმა სავიზო რეჟიმმა მინიმუმამდე დაიყვანა რუსეთში წამსვ-



ლელთა რაოდენობა, მაგრამ იქ მყოფი საქართველოს მოქალაქეები გაცილებით მეტია, ვიდრე საბერძნეთში. თუ ამ ორ ქვეყანას სხვა ქვეყნებსაც დავუმატებთ, საქართველოში აღარავინ დარჩენილა. **ბარაქალა შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლებას, ეს მაინც მოახერხეს, რომ უცხოეთში დაესაქმებინათ ლუკმაპურის მაძიებელი საქართველოს მოსახლეობა! ნათქვამიდან გამომდინარე, რჩევით მივმართავ ხელისუფლება-ოპოზიციას: წინასაარჩევნო კამპანია რუსეთ-საბერძნეთში და სხვა ქვეყნებშიც გამართონ და არა საქართველოში, ვინაიდან აქ მცხოვრებ ჩინელებსა და თურქებს ჯერ არ აინტერესებთ საქართველოს არჩევნები, მაგრამ როდესაც დაინტერესდებიან, გვიან იქნება, ვინაიდან მათ მედგარ წინააღმდეგობას ქართველები კი არა, სომხები და აზერბაიჯანელები თუ გაუწევენ. მთელი ჩვენი იმედი მათზეა მიჯაჭვული.**

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა არც თუ იოლი საქმეა. ვინაიდან არალეგალურობის გამო საქართველოს მოქალაქეები საქართველოს საელჩოებსა და საკონსულო სამსახურებში, აღრიცხვაზე არ ადიან. **საზღვარგარეთის ქვეყნებში არალეგალურად თუ ლეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს და შედეგებს სერიოზულად შეუძლია გავლენა იქონიოს ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. ოპოზიციის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ უცხოეთში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში გამართული ხმის მიცემის პროცედურა ყოველთვის მიმდინარეობდა და, დარწმუნებული ვარ, ტრადიცია ამჯერადაც არ დაირღვევა ხელისუფლების სასარგებლოდ.**

გავიხსენოთ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები და რუსეთში საქართველოს საელჩო. მაშინდელმა ოპოზიციამ და 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სააკაშვილმა უყურადღებოდ არ დატოვა რუსეთში საქართველოს საელჩოს მიერ არჩევნების ჩატარებაში დაშვებული „შეცდომები“ და ელჩი ფალსიფიკაციაში დაადანაშაულა, თანამდებობიდანაც დაითხოვა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემითაც დაემუქრა. ვეჭვობ, რომ დღევანდელი მდგომარეობა კარდინალურად იყოს უკეთესობისკენ შეცვლილი. მიზანშეწონილი იქნებოდა, კონტროლის გაწევის მიზნით, ოპოზიციურ კანდიდატთა მიერ, საკუთარი წარმომადგენლების იმ ქვეყნებში მაინც მივლინება, სადაც დიდი ქართული დიასპორა არსებობს. არც ის არის გამორიცხული, რომ საქართველოდან წასულ მოქალაქეთა ხმები, მათდა დაუკითხავად, ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

7 ნოემბრის მოვლენებმა სხვაგვარი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში. ქება-დიდებას შეჩვეული პრეზიდენტისა და ხელისუფლებისათვის ძნელი წასაკითხია იქ გამოქვეყნებული მასალები, ვინაიდან საქებარი არაფერია. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პოპულარული ჟურნალის „ეკონომისტის“ სტატიამ, სადაც მკაცრი შეფასება აქვს მიცემული არა მარტო საქართველოს ხელისუფლების 7 ნოემბრისა და მანამდელი პერიოდის ქმედებებს, არამედ ამის შემყურე – აშშ-ს ადმინისტრაციისა და ევროკავშირის უმოქმედობას. „დასავლეთი უსირცხვილოდ არ ჩქარობს დაგმოს მისი პროტეჟეს – მიშას მიერ ძალაუფლების მავნედ გამოყენება. აშშ-მა და ევროკავშირმა გამოთქვეს რაღაც სინანული და საზოგადოებას მოუწოდეს სიმშვიდისაკენ, მაგრამ მათ არ უთქვამთ მკაცრად, სახალხოდ და პირდაპირ, რომ ხელისუფლების მიერ გამოყენებული ძალა მიუღებელია. მათ უნდა ეთქვათ ამის შესახებ. ღირს იმის გამოკვლევაც, თუ რაში იხარჯება უცხოური დახმარება. ქალებსა და „მერსედესის“ მანქანებში ხომ არა? საწყენია, როდესაც გადასახადებით მოპოვებული დოლარები იხარჯება უშიშროების ძალების წვრთნა-აღჭურვაში და იმ მაუწყებლობის მოწყობაში, რომელიც დაარბიეს“. სხვა გაზეთშიც არანაკლები კრიტიკით გამოდიან, თუმცა მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს საქართველოს მკითხველამდე მიღწევა არ უწერიათ.

აშშ-ს ადმინისტრაცია კი ძალას არ იშურებს საქართველოს არსებული ხელისუფლების დახმარებისათვის. სწორედ მისი თხოვნით სტუმრობდა პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები კაჩინსკი და ადამკუსი გასულ კვირას საქართველოს, ამერიკელთა დავალება ითვალისწინებდა ამ ქვეყნების პრეზიდენტების მიერ ხელისუფლება-ოპოზიციის შერიგებას. რამდენად მოახერხეს დაკისრებული მისიის შესრულება, ღმერთმა უწყის.

გასულ კვირას მსოფლიოს პოლიტიკური ყურადღების ცენტრში ისევ კოსოვო და ირანი იყო. გაეროს გადაწყვეტილებით კოსოვომ და სერბეთმა 10 დეკემბრისთვის უნდა გამოძებნონ კომპრომისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონტაქტო ჯგუფი ევროკავშირის, რუსეთისა და აშშ-ს შემადგენლობით განსაზღვრავს ავტონომიის სტატუსს. ძნელია იმის დაჯერება, რომ 10 დეკემბრამდე კონსენსუსი მიიღწევა. 8 წელია მიმდინარეობს პრიშტინა-ბელგრადის უნაყოფო მოლაპარაკება, მაგრამ მხარეები ისევ თავიანთ პოზიციაზე დგანან, უფრო ზუსტად ერთზე – დამოუკიდებლობა არ უნდა იყოს მოლაპარაკების საგანი, ეს კოსოვოს პოზიციაა, ხოლო არავითარი მოლაპარაკება კოსოვოს დამოუკიდებლობაზე – სერბეთის. აშშ-ს და ევროკავშირის მიხედვით, კოსოვოს საკითხი სწრაფად უნდა გადაიჭრას. ალბათ ასეც იქნებოდა,

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

**გუდაში ჩასმული თაგვებივით ნუ გვატყუებთ, თქვენ შემოგევლეთ! თუ ის 800 ან 1000 ლარი ვიშოვეთ, შეშას უთქვენოდაც ვიშოვით!**



**გაუტიეს!**

# პრეზიდენტის ვაუჩერი – სოფელს

## ანუ შეშა – 800 ლარად

***არ არსებობს! როგორ შეიძლება არჩევნებში ხმა არ მისცე ისეთ პრეზიდენტს, რომელიც ათასნაირ ვაუჩერს გაძლევს და ამით „სამართლიანადაც“ იწონებს თავს. ა, ბატონო, – ეს დენის ვაუჩერიო, ეს გაზის ვაუჩერიო... „ამის“ ვაუჩერიო, „იმის“ ვაუჩერიო. შეშის ვაუჩერიც კი გამოგვიყვეს სოფლელებს. ლამის არის ვაუჩერმანებად ვიქცეით და მგონია, მალე (თუ როგორმე ვიშოვეთძ ლუკმასაც „ვაი-უჩერით“ დაგვირიგებენ. ვიყოთ ასე და რად გვინდა პური თუ შაქარი, ყველი თუ ლომი... „ვაი-უჩერია“ ჩვენი მამა და მარჩენალი და ამ მამა და მარჩენალს პრეზიდენტი ჰქვია!***

ახლა მოდით და გავერკვეთ, რას ნიშნავს ვაუჩერი. ვაუჩერი შინაარსობრივად არც არაფერს ნიშნავდა, სანამ „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდებოდა. მოხდა ეს „რევოლუცია“ და, მოგეხსენებათ, რევოლუციას მუდამ მოჰყვება ახალი სიტყვა. და, რა თქმა უნდა, ახლაც ასე მოხდა! ჰოდა, ვაუჩერმა მიიღო ახალი შინაარსი. ბევრი მას სხვადასხვანაირად ეძახის, მაგრამ მე ის მაგონებს გამხმარ გუდას, რომელსაც თხის მწყემსები საქონლის თავშესაქცევად იყენებენ, – გამხმარ გუდაში ჩასვამენ თაგვს, ჩამოკიდებენ ხეზე ან კარვის კარებთან. ალტკინებული წრუწუნა თავს „იკლავს“, ცდილობს თავისი ბასრი კბილები ჰკიდოს თხის გამხმარ ტყავს, მაგრამ აბა, როგორ მოჰკიდებს, თუნდაც ბასრ კიჟებს? ამიტომ „იკლავს “ თავს და ვერ ისვენებს, ფხაჭუნებს, ფხაკუნებს, კრაჭუნებს და... ამ ფხაჭუნ-ფხაკუნით ართობს თხებს. არვე პირდაღებული უსმენს და ელოდება, ვინ იცის რას... ამასობაში თხა ხურდება, ნერწყვით ევსება პირი, და შიმშილის გრძნობა ავიწყდება!.. აბა, რა სჯობია ამას? იზოგება საკვები! მეტყვით, ცარიელი კუჭით დიდხანს ვერ გაძლებსო ორგანიზმი. სწორია, გეთანხმებით, მაგრამ ეს მოხდება მერე... მას მერე, რაც არჩევნები (ეს სიტყვა წამომცდა, „ზამთარი“ უნდა მეთქვა!ძ ჩატარდება და ასარჩევი აირჩევა! მერე კი მიხვდებიან ბეკეკები როგორ „აჭამეს“, მაგრამ უკვე გვიანი იქნება!

რად გინდა ეს ფოლკლორიო, მეტყვით თქვენ, რა გუდა, რის ფხაჭუნი და ფხაკუნიო? რა, არ მისცეს ვაუჩერები ხალხს თუ რაო?

კი, როგორ არ მისცეს, მაგრამ აბა, კითხეთ იმათ, ვინც ტყეში არ ცხოვრობს, ვინც ვერ ახერხებს შეშის დამზადებას სოფლის ახლომახლო და თან არც ამისი ჯანმრთელობა აქვს...

მოკლედ, ასე: – დავუშვათ და მიიღე ეს ყბადაღებული „ვაუჩერი“ (15 ლარი ღირს!ძ. ახლა უნდა „დაამზადო“ შეშა და დაიქირავო ტრანსპორტი (ეს „ოპერაცია“ 100-150 ლარი ღირს!ძ, მაგრამ ჯანმრთელობაშერყეული მარტოხელა კაცი კი არა, ჯან-ღონით სავსე ხუთსულიანი ოჯახიც ვერ დაამზადებს გამოყოფილ 5 კუბმეტრ შეშას ერთ დღეში. ამიტომ დამზადებული შეშა უნდა იყიდო. ეს კი, 500-დან 700 ლარამდე ღირს! აბა, რა გეგონათ? ჰოდა, ეს თქვენი ვაუჩერი, ბატონო პრეზიდენტო, 800-დან 1000-ლარამდე გვიჯდება და ცოტა უხერხულია ამდენს რომ გაიძახით, – ყველა ოჯახმა სითბოში უნდა იცხოვროსო! როგორ გამოდის ეს? გუდაში ჩასმული თაგვებივით ნუ გვატყუებთ, თქვენ შემოგევლეთ! თუ ის 800 ან 1000 ლარი ვიშოვეთ, შეშას უთქვენოდაც ვიშოვით!

**სოფლის თავკაცთა დავალებით**
**ზაურ ფიფია**

**თვალსაზრისი**

# პოლიტიკის ნაყოფი

რომ არა რუსეთის სიჯიუტე, ამ შემთხვევაში – აშკარად სამართლიანი. აზრთა თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, გაეროს ერთ დოკუმენტში მოქცეული, სერიოზულ დაპირისპირებას იწვევს ქვეყნებსა და მასში შემავალ ავტონომიურ ფორმირებებს შორის. მოსკოვის მიხედვით ხელშეუხებელია ტერიტორიული მთლიანობა, რასაც კოსოვოდან გამომდინარე აშშ და ევროკავშირი არ იზიარებენ. მათი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობა უნიკალურად უნდა დარჩეს და სხვისთვის მაგალითი არ უნდა იყოს. თუ გაერო ვერ გადაწყვეტს კოსოვოს საკითხს, სავსებით მოსალოდნელია კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება აშშ-სა და მისი მოკავშირეების მხრიდან. პროცედურა კი ასეთი იქნება – ახლადარჩეული კოსოვოს პარლამენტი გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, შემდეგ დასავლეთი ცნობს მას, სერბეთისა და თვით კოსოვოს შიგნით არსებული სერბული ანკლავების წინააღმდეგობის მიუხედავად. ასევე მოსალოდნელია, რომ ამერიკული ვარიანტი განხორციელდეს.

კოსოვოში ჩამოყალიბებული რეზერვაციების „საზღვრები“ საბოლოოდ 2004 წლის მარტში დადგინდა. სწორედ მაშინ მოხდა ანტისერბული მასობრივი დარბევები. ალბანელებმა 19 სერბი მოკლეს, დაწვეს მათი სახლები და ათობით მართლმადიდებლური ეკლესია. ათასობით სერბი იქცა ლტოლვილად. ვინც დარჩა, ცდილობს არ გადაკვეთოს ანკლავის საზღვარი. **სპეციალისტთა აზრით, კოსოვოში მშვიდობა მაშინ შენარჩუნდება, თუ სერბები და ალბანელები ერთმანეთს არ შეხვდებიან. საზღვრების ნებისმიერი გადაკვეთა კონფლიქტების პროვოცირებას მოახდენს.** კოსოვოს ხელისუფლებამ 2004 წლის დარბევების შემდეგ აღადგინა და შეაკეთა სერბთა სახლები, მიმართვაც გაავრცელა დაბრუნების თაობაზე, თუმცა შეშინებული სერბები არ ბრუნდებიან. ბელგრადი მიიჩნევს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება უდავოდ გამოიწვევს სისხლიან დაპირისპირებას. ბელგრადის მტკიცე პოზიციას ხაზი გაესვა გასული კვირის მოსკოვის შეხვედრის დროს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა ბელგრადის მიმართ. როგორც ჩანს 10 დეკემბრის სამეულის შეხვედრა ისე უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც ადრეული შეხვედრები. რა ნაბიჯს გადადგამენ აშშ და ევროკავშირი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მაგრამ ძნელი გამოსაცნობი იქნება მცდარი გადაწყვეტილების შედეგად გამოწვეული მასშტაბების სიგრძე-სიგანე. სამწუხაროდ, აშშ-ს დღევანდელი და წარმავალი ადმინისტრაცია აღნიშნულს ანალიზს ვერ უკეთებს, ისე, როგორც ირანის ბირთვული პროგრამის საკითხებს.

**ირანი მძლავრი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა. მას ამერიკული სანქციები ვერ დააჩოქებს.** სამწუხაროა, როდესაც ბუშის ანტიირანულ აკვიატებულ იდეას უყოყმანოდ მხარს უჭერენ საფრანგეთ-გერმანიის ახალი ხელმძღვანელები. ირანი თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოებთან და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან. ამის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა ქ. არდებილში გამოსვლის დროს პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა – „ირანი უარს არ ამბობს გამართოს ნებისმიერ ქვეყანასთან, გარდა სიონისტური რეჟიმისა, სამართლიანი და თანაბარი მოლაპარაკებები. ჩვენ ვართ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წევრი და პირნათლად ვასრულებთ ჩვენს საქმეს, რომელიც ეფუძნება სააგენტოს მოთხოვნებს. სააგენტო გვიწევს ზედამხედველობას“.

საყურადღებოა ირანის ოფიციალური წარმომადგენლის მოჰამედ ალი ჰოსეინის განცხადებაც ატომური ენერგიის სააგენტოს გენერალური დირექტორის ელბარადეის ნათქვამის თაობაზე – „თეირანმა ზუსტი პასუხი გასცა სააგენტოს ყველა შეკითხვას და ნაყოფიერად თანამშრომლობს მასთან“. დიპლომატმა ასევე აღნიშნა ვაშინგტონის სიჯიუტეც მიუხედავად ელბარადეის პოზიტიური შეფასებისა – „ასეთი დაჟინება იმის მომასწავებელია, რომ ვაშინგტონს არ სურს საკითხი იყოს ნათელი და გამჭვირვალე. ვაშინგტონი ცდილობს ირანის ხალხს მოაკლოს ლეგიტიმური უფლება. ამით ის ვერ მიაღწევს მიზანს“.

ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ იმთავითვე ცნობილი იყო, რომ მთლიანად სამშვიდობოა და ყოველთვის ექვემდებარებოდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ზედამხედველობას, რომ პროგრამა არ იწვევს რაიმე საფრთხეს რომელიმე ქვეყნის მიმართ, რომ ბირთვულ იარაღს არ შეიძლება იყოს ირანის თავდაცვის დოქტრინაში, რომ ირანი პირველი ქვეყანაა, რომელმაც დააყენა წინადადება ახლო აღმოსავლეთი იყოს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი, რომ ირანის ბირთვული პროგრამის უპირველესი მიზანია ელექტროენერგიის გამომუშავება, რომ ირანის მომავალი, მისი მზარდი მოსახლეობა და ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება ენერგეტიკას, რომ ირანი ვერ იქნება კლებადი ენერგეტიკული რესურსების ანაბარა, მან უნდა მოახერხოს ენერგეტიკის დივერსიფიკაცია. გრძელვადიანი პროგრამიდან გამომდინარე, ირანმა, როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან უნდა უზრუნველყოს ბირთვული ქარხნები საწვავით. ისლამური რევოლუციის გამარჯვებამდე ვაშინგტონს გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი შაჰის ხელისუფლებასთან, რომლის მიხედვით ირანს უნდა მიწოდებოდა საწვავი ბირთვული რეაქტორისათვის, მაგრამ კონტრაქტი დავიწყებას მიეცა. შემდეგ იყო გერმანული კომპანია „სიმენსის“ დაპირება ბუშერის რეაქტორისთვის საწვავის მიწოდების თაობაზე. სამწუხაროდ არც ეს გაკეთდა. ბირთვული ხუთეულის, განსაკუთრებით კი აშშ-ს მიზანია განვითარებადი ქვეყნები თანამედროვე ბირთვული ტექნოლოგიის გარეშე დატოვონ.



**კეთილი ნების გამოხატვის და მოლაპარაკებების კონსტრუქციულად წარმართვის მიზნით ირანმა ნებაყოფლობით შეაჩერა ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობა, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, უარყოფითი გამოდგა, ამიტომაც ირანს აღარ სურს გააგრძელოს ასეთი უმოქმედობა.**

ვაშინგტონი უწინდებურად აგრძელებს ანტიირანულ პოლიტიკას, იღებს რა ახალ ეკონომიკურ სანქციებს ამ ქვეყნის მიმართ. ვაშინგტონის აგრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია ომი ერაყში, გაზარდა ტერორიზმი, დაძაბა ვითარება არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, დაამძიმა აშშ-ს და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა. თითქმის 100 დოლარამდე გაზარდა ბარელი ნავთობის ფასი, კრიტიკულ ვითარებამდე მიიყვანა კოსოვოს საკითხი, გააუარესა ვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში. ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაშიც, არავინ იცის რამდენი დასჭირდება ოთხი წლის განმავლობაში მიყენებული იარების შეხორცებას.

გასული კვირა უხვი იყო მოვლენებით. საქართველოს პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თითქმის ყველა ტელეარხის ყოველდღიური, პერმანენტული სტუმარი ყოფილიყო – ახალ-ახალი დაპირებებით, სუპერ „ჰუმანური“ განცხადებებით და სხვა. ნაციონალების ყრილობაზე ითქვა პრეზიდენტის სიზმრების შესახებაც, რაც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ეხება. იყო დაპირება – თუ მას კიდევ აირჩევენ, აუცილებლად დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, დაიბრუნებს და შემდეგ... ალბათ მიჰყიდის არაბებს, თურქებს, ისევ რუსებს, სხვებს და სხვებს, ისე, როგორც ეს ხდება დარჩენილ საქართველოში. ყრილობაზე გამოსულმა ქალაქის მერმა მეტად მნიშვნელოვან მომენტს გაუსვა ხაზი. თურმე 4-წლიანი მმართველობის დროს ნაციონალთა მიზანი იყო სწრაფი წინსვლა – ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის, მაგრამ მომავალში, წინსვლასთან ერთად, გვერდზე გაიხედ-გამოიხედავენ, დაინტერესდებიან ხალხის ჭირ-ვარამით. **ოთხი წლის განმავლობაში, ცხადია, რაღაც გაკეთდა და ასეც იქნებოდა ნებისმიერი სხვა ხელისუფლების პირობებში, მაგრამ, რაც მთავარია, მისი უდიდესულესობა ხალხი იყო სამარადისოდ დავიწყებული. ნაციონალთა მიერ აშენებული ვირტუალური ქვეყანა ხალხის არსებობას, საკუთარი ნათესავების გარდა, არ ითვალისწინებს.**

წინ არჩევნებია, საქართველოს ცხოვრებაში უდიდესი გამოცდის დღე. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოსახლეობა, როგორც არასდროს, სერიოზულად მოეკიდება სამოქალაქო მოვალეობის შესრულების საქმეს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# რა დღეში ვართ...

**დუმილის პოლიტიკა დამთავრდა, ხალხის მოტყუებისაც. დროა, მთავრობის ეკონომიკური გუნდი, ბენდუქიძის თავკაცობით, რბილ და თბილ სავარძლებს ერთხელ და სამუდამოდ დაემშვიდობოს**



## ◎ ინფორმაცია

### ადამიანური განვითარების დონით ბოლოში მივჩანჩალებთ

**გაეროს შტაბბინაში მომზადებული ყოველწლიური მოხსენების თანახმად, რომელიც მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით ადამიანური განვითარების დონეს განსაზღვრავს, საქართველომ 96-ე ადგილი დაიკავა.**

**სააგენტო „რეგნუმის" ინფორმაციით, საქართველოს მეზობელი ქვეყანა სომხეთი ამავე სიაში 86-ე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო აზერბაიჯანი 98-ზე.**

**რაც შეეხება დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებს, ყაზახეთმა 73-ე ადგილი დაიკავა, უკრაინამ – 76-ე, თურქმენეთმა – 109-ე, მოლდავეთმა – 111-ე, უზბეკეთმა – 113-ე, ყირგიზეთმა – 116-ე, ტაჯიკეთმა – 122-ე.**

**რაც შეეხება ბელარუსსა და რუსეთს, ისინი მაღალი ადამიანური განვითარების ქვეყნების ჯგუფში შევიდნენ და სიაში 64-ე და 67-ე ადგილები დაიკავეს.**

**ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, როგორც მაღალი ადამიანური განვითარების ქვეყნებმა ამავე სიაში 43-ე, 44-ე და 45-ე ადგილები დაიკავეს.**

**კეთილდღეობის კრიტერიუმის მიხედვით კი მსოფლიოში ყველაზე კეთილდღეობისა და ადამიანური განვითარების ქვეყნების ჯგუფში ისლანდია, ნორვეგია, ავსტრალია, კანადა და ირლანდია შევიდნენ.**

**ამავე სიაში, როგორც მაღალი კრიტერიუმის ქვეყანა, მეშვიდე ადგილზე გავიდა შვეიცარია, ხოლო იაპონია მერვეზე, საფრანგეთმა სიაში მეათე ადგილი დაიკავა, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა მეთექვსმეტე.**

**სიაში არსებული 177 ქვეყნიდან 22 ძალიან დაბალი ადამიანური განვითარების ქვეყნების ჯგუფში მოხვდა, მათ შორისაა, სიერა-ლეონე, ბურკინა-ფასო, გვინეა ბისაუ და ნიგერია.**

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ვთქვათ სიმართლე!

# ლარი კი არ მყარდება, სულ უფრო უფასურდება

### ინფლაცია ხალხს უკანასკნელ გროშებსართმევს

***ნოემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ხელისუფლების ყველაზე დიდ „აღმოჩენად", სხვა „აღმოჩენათა" შორის, ალბათ, ის უნდა ჩაითვალოს, რომ აქამდე „დემოკრატიის კატარაქტით" დაბრმავებული თვალი აეხილა და საკუთარი ხალხის გაჭირვება დაინახა. ის დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ქუჩაში ათეულ ათასობით ადამიანი ოპოზიციური პარტიების ლიდერთა ლოზუნგებმა კი არა, ქვეყანაში გამეფებულმა უსამართლობამ, ღირსების დამცირებამ და გაუსაძლისმა გაჭირვებამ გამოიყვანა. ხელისუფლებას დაუპირისპირდა არა საპარლამენტო ოპოზიცია, არამედ თავად ხალხი, რომლის რეალურ მოთხოვნებსაც რეალური პასუხის გაცემა უნდოდა და არა მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა, უდანაშაულო ადამიანებისთვის მათრახით ზურგის აწვა და თვალთაგან ცრემლის დენა.***

შეცდა, მაგრამ შეცდა ხელისუფლება და მისი დემოკრატი, მედგარი და მარად დაუჩოქებელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც რატომღაც დაავიწყდა, რომ ქვეყნის პირველ სკამზე თავის დროზე სწორედ ყოფილი ხელისუფლებით ხალხის უკმაყოფილების ტალღამ დასვა. ახლა, როგორც ჩანს, ბევრს ნანობს და ფიქრობს, იქით მეცნიერებისა და ხელოვნების ქურუმებს ეფოლორცება, აქეთ – პედაგოგებსა და პენსიონერებს, ვაუჩერებსა და დახმარებებს არიგებს, ამბობს, ამ ზამთარს არავის უნდა მოშივდეს და არც არავის შესცივდესო, მაგრამ წამხდარ საქმეს ვითომ ეს უშველის? ან კიდევ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც თავად მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ტარდება?

ვნახოთ, ამაზე პასუხს თავად ხალხის არჩევანი გასცემს. მანამდე კი, ალბათ, ურიგო არ იქნება ქვეყნის მომავალ ხელისუფალთ შევახსენოთ ის შეცდომები და უგულისყურობა, რაც მიმავალმა ხელისუფლებამ ხალხთან ურთიერთობაში, კერძოდ, მისი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ზრუნვის კუთხით დაუშვა. ან კი შეიძლება იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა და მისი ეკონომიკური გუნდი ბატონ ბენდუქიძის თავკაცობით ატარებდა საერთოდ პოლიტიკა დავარქვათ? რა თქმა უნდა, არა. ეს უფრო კორუფციული პოლიტიკა გახლდათ, რაც მთავრობის წევრთა მიერ დაგროვილ მილიონებში გამოიხატა, ვიდრე ეკონომიკური.

აბა, რა ეკონომიკურ პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ექსპორტი სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს, იმპორტი კი 75-ს? იმპორტის ხარჯზე ცხოვრება ხომ ფაქტობრივად მათხოვრობას უტოლდება. ამიტომაც იქცა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღატაკად და მათხოვრად, რომელმაც არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად ხელისუფლების შეცვლა განიზრახა. რას უშველის ხალხს ვაუჩერები და სხვა ერთჯერადი დახმარებები, როცა ქვეყანას მასობრივი უმუშევრობა, სიღატაკე და ინფლაცია მაჯლაჯუნასავით დასწოლია?



უფრო დიდი უბედურება კი ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ რეალობას თვალს ვერ უსწორებს და რაღაც მოჩვენებითი ციფრებით ლამობს ხალხის მოტყუებას. ტყუილის გარდა ვერაფერს დავარქმევთ იმას, როცა მთავრობა აცხადებს, რომ შარშან ქვეყნის ეკონომიკა 12 პროცენტით გაიზარდა და წელს უფრო მეტს მოელის, რომ ინფლაციამ ჩვენში მხოლოდ 8 პროცენტით მოიმატა და მეტით ვერა! ღიმილის მომგვრელია, არა? მაგრამ ამის მიუხედავად, პრემიერყოფილ ნოღაიდელს ოდნავადაც არ გაღიმებია, როცა ამ ციფრს უსირცხვილოდ ასახელებდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, არც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გასჩენიათ რაიმე უხერხულობის გრძნობა, როცა იქ ახლახან ეროვნულმა ბანკმა მომავალი წლის ინფლაციის მაჩვენებელი 8 პროცენტის, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ 5 პროცენტის ფარგლებში წარმოადგინა. ისე ცხვირი დაუმშვენდებათ ამ ციფრების შემდგენლებს და ამ უწყებათა ხელმძღვანელებს, რომლებსაც იმდენი ტვინიც არ შერჩენიათ, რომ ერთნაირი ტყუილი მაინც თქვან. სიმართლეს კი სად გავექცევით, როგორც ექსპერტები ანგარიშობენ, სულ მარტივი გათვლებითაც კი დღეს საქართველოში მინიმუმ 20-პროცენტიანი ინფლაციაა. ამას ხედავს და გრძნობს ყველა, ვისაც ჯიბე გახვრეტილი აქვს, მაგრამ არ სურს დაინახოს მთავრობამ, რომელსაც იმდენი აქვს დაგროვილი, რომ ინფლაციამ მათი საოჯახო ბიუჯეტი რამდენიც უნდა ანჯღრიოს, ოდნავადაც ვერ შეაქანებს.

აი, მოხუცი პენსიონერი კი, რომელსაც ბაზარში ორი კილოგრამი კარტოფილი დიდი გაჭირვებით შეეძინა, საკუთარი თვალით ვნახე, გამყიდველს როგორ ეხვეწებოდა.

– რა იქნება, 60 თეთრად მომცე, შვილო ხახვი?

– ვერა, ბაბუ, ლარი უნდა.

– შარშან ამდროს, კაცო, 50 თეთრად ვყიდულობდი ხახვს და წელს რა უცუნა ეცა?

– ლარი გამყარდა, ბაბუა, ლარი და ყველაფერი იმიტომ გაძვირდა.

– გამყარდა თუ გაუფასურდა, ეს როგორ გავიგო, ჰა? – გაკვირდა მოხუცი.

– მთავრობა ეგრე ამბობს – გამყარდაო და მე ხომ არ მოვიტყუები? – გაიღრიჭა გამყიდველი.

გამყიდველის ნათქვამი მენიშნა. ჩვენი მთავრობა კარგახანია ამაყობს ლარის გამყარებით, სინამდვილეში კი ყველა ხედავს, ის დღითი დღე როგორ უფასურდება. რეალურად ლარი არ მყარდება, რადგან მისი მსყიდველობითი უნარი სულ უფრო და უფრო მცირდება. თუ იმას გულისხმობს მთავრობა, რომ ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა, ეს ხალხისთვის ვერაფერი ნუგეშია, რადგან მოსახლეობა პროდუქტს ლარით იძენს და არა დოლარით. ლარი დღეს არც სტაბილურია და არც მყარი. ეს უბრალოდ ხელისუფლების სურვილია და არა რეალობა.

რეალობას კი თვალის გასწორება სჭირდება. ამის გაკეთება ერთგვარად უკვე გაბედა ახალმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანაში ინფლაცია არის მაღალი და ეს მძიმედ აწვება მოსახლეობის დაბალ ფენებს. არც ერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკს დღემდე ასეთი დასკვნა არ გაუკეთებია, მინისტრები, ყოფილი პრემიერის ჩათვლით, ჟურნალისტების შეკითხვებზე სოციალური პრობლემების თაობაზე ან მოკლე რეპლიკებით შემოიფარგლებოდნენ, ან საერთოდ დუმდნენ.

**დუმილის პოლიტიკა დამთავრდა, ხალხის მოტყუებისაც. დროა, მთავრობის ეკონომიკური გუნდი, ბენდუქიძის თავკაცობით, რბილ და თბილ სავარძლებს ერთხელ და სამუდამოდ დაემშვიდობოს.**

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ ვაიმე, ჩვენო ენავ!..

# გოგოვ, შენ კი გენაცვალე ქართულ ლაპარაკშია!..

**ერთ ჩვენს პრესტიჟულ გაზეთში ერთი პოპულარული ტელეწამყვანის, თუმცა აწ დროებით უმუშევარი ქალბატონის მონოლოგი წავიკითხე და მერამდენედ გამაოცა მისმა დაუდევარმა დამოკიდებულებამ მშობლიური ენისადმი, ენის ნორმებისადმი. რა კარგი იქნებოდა, ეგ პოპულარობა წიგნიერი, გამართული ქართულითაც რომ მოეპოვებინა.**

17-სტრიქონიან „გამოსვლაში" არაერთი ხარვეზი შეიმჩნევა (ენობრივს ვგულისხმობ, ცხადია), მაგრამ „დამაგვირგვინებელი" და ჩემთვის „ბოლოს მომღები" აღმოჩნდა ფრაზა „ვაკეთო ყურებადი გადაცემები", მარტო იმიტომ კი არა, რომ გადაცემას „ვაკეთო"-ზე უფრო „მომზადება" უხდება (გადაცემების კეთება, როგორც ჩანს, ტელეჟურნალისტების „სამუშაო" გამოთქმაა), არამედ „ყურებადის" გამო. ერთ-ერთ ადრეულ ტელესიუჟეტში ამ ქალბატონმა ბევრი „ყიდვადი" და „გაყიდვადი" წიგნი განიხილა, რომელიღაც გამოფენიდან, ახლა კიდევ ეს „ყურებადი" რაღა უბედურებაა? პოპულარულ ტელეწამყვანს უნდა ესმოდეს, რომ „ბადი" და „ადი" დაბოლოებას ყველა სიტყვა ვერ შეიგუებს. ერთია თქვა „განვითარებადი", „მართვადი" „მილევადი", „ინტეგრირებადი" და სხვა მისთანა დასაშვებნი და მეორეა „ყურებადი" (ყურებს რომ აგიწუილებს!), „ცქერადი", „შეწვადი", „ცნობადი", „დასჯადი", „მოწონებადი", „მოფერებადი" და ასე შემდეგ. არადა, ამგვარი ფორმების შეუფერებელი ხმარება ახლა ძალიან მოდაშია...

**თამაზ ებანოიძე**

## ◎ მსოფლიო აღნიშნავს

### დაარსდება სამართლიანობის მსოფლიო დღე

**გაეროს გენერალურმა ასამბლეის გადაწყვეტილებით დაარსდება სამართლიანობის მსოფლიო დღე, რომლის ინიციატივაც ყირგიზეთს ეკუთვნის. გადაწყვეტილების თანახმად, სამართლიანობის მსოფლიო დღე 2009 წლიდან ყოველ 20 თებერვალს აღინიშნება. რეზოლუციის პროექტი, რომლის ავტორიც 80-მდე სახელმწიფოა, კონსენსუსით მიიღეს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური ზრდა, მშვიდობა და უსაფრთხოება, ასევე ადამიანის უფლებების დაცვა – სოციალური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობებია. გაერთიანებულმა ერებმა აღნიშნეს, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს უთანასწორობის პრობლემა, რომელიც ქვეყნებსა და ცხოვრების განსხვავებული დონის მქონე სოციალურ ჯგუფებს შორის დგას. გენერალური ასამბლეის განცხადებით, აუცილებელია სიღარიბის აღმოფხვრა, სრული დასაქმების უზრუნველყოფა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის დამყარება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ეს იყო, იყო...

1991 წლის 28 ოქტომბერს თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში მოხდა მასობრივი არეულობა – ამბოხება გაქცევის მცდელობის მიზნით. ეს მასობრივი დაუმორჩილებლობა ტრაგიკულად დამთავრდა, დაიჭრა 22, დაიღუპა 4, ხოლო რამდენიმე პატიმარმა კი იზოლატორიდან გაქცევა მოახერხა



## ინფორმაცია

### ვერცხლისწყლის კონტრაბანდა აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქეების სასამართლო პროცესი შედგა, რომლის გადაწყვეტილებითაც მათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქეები, ბეიუკა ემინოვი და ანარ გაჯიევი საქართველოდან აზერბაიჯანში ვერცხლისწყლის კონტრაბანდის შეტანისას დააკავეს.

ტვირთის საერთო ღირებულება 100-150 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

ემინოვი და გაჯიევი სასჯელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდიან.

### პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელი გაიტაცეს

აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეის განცხადებით, მათი ლიდერი, დაშგინ გულმამედოვი ქართველმა სამართალდამცავებმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს.

ასამბლეის წევრთა განცხადებით, გულმამედოვის ადგილსამყოფელი ამ დროისთვის უცნობია.

– საქართველოს შს სამინისტროში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ გულმამედოვის დაკავების ფაქტს. იგი ძალდატანებით ჩასვეს ავტომობილში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ვფიქრობთ, რომ ის გატაცებულია, –ნათქვამია ასამბლეის განცხადებაში.

ორგანიზაციის წარმომადგენლის, მეხთი მუსაევის განცხადებით, თუ ქართული მხარე გულმამედოვს არ გაათავისუფლებს, აზერბაიჯანული სატვისტომო საქართველოში პროტესტის ყველა ფორმას მიმართავს. მისი თქმით, გადაიკეტება საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები.

შეგახსენებთ, გულმამედოვი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ფაზილ ალიევის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა.

### ავტობუსის საბარგულში ვიღაც იჯდა

უკრაინის სასაზღვრო უწყების თანამშრომლებმა საერთაშორისო საავტომობილო გამშვებ პუნქტზე „სოკირიანი" საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო უწყების პრეს-მდივნის, მაიორ კონსტანტინე ლისნიკის განცხადებით, დაკავებული საკუთარი ავტობუსით უკრაინა-მოლდოვას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდა.

დაკავებული ავტობუსის სავარძლებს შორის მოლდოვას სარეგისტრაციო ნომრებს მალავდა, რომელიც კიშინიოვი-მოსკოვის მარშრუტზე იყო რეგისტრირებული. ავტობუსის უკანა სავარძლების ქვეშ კი სამართალდამცავებმა დამალული მგზავრიც აღმოაჩინეს.

დაკავებული საქართველოს მოქალაქე 1974 წელს დაბადებული თბილისის მცხოვრები აღმოჩნდა. ჩხრეკისას მას საქართველოს მოქალაქის პასპორტი თან აღმოაჩნდა.

რაც შეეხება ავტობუსში დაკავებულ მგზავრს, მის ვინაობას სამართალდამცავები არკვევენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ასე იყვა



# „კანონიერი ქურდები" მსოფლიოს რუსეთმა „აჩუქა"

**მსოფლიოს კრიმინალურ ისტორიას თუ შევისწავლით, უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ტერმინი „კანონიერი ქურდი" გასული საუკუნის 30-იან წლებში შემოიღეს და დაამკვიდრეს რუსეთში. ასე რომ, „კანონიერი ქურდი" ე. წ. „ოქტომბრის გადატრიალების" პირმშოა და პირწმინდად რუსული წარმოშობისაა.**

ამ ბოლო დროს რას არ გაიგებ ტელევიზიით. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ „კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი სტალინმა შექმნა, რომ „კანონიერი", ადრე ჯიბის ქურდი, იგივე ჯიბგირი (ქურდული ჟარგონით „შიპაჩი"ძ იყო და ა.შ. ასეთი ინფორმაციების გამავრცელებლები სრულ უვიცობას და დილეტანტობას ამჟღავნებენ...

საბჭოთა კავშირის შექმნის გარიჟრაჟზე, უფრო სწორად, XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან ჩამოყალიბდა განყოფილება **„ოგპუ"** (Отдел Государственного политического управленияძ, რომელსაც დაევალა არა მარტო ყოველგვარი კონტრრევოლუციური ელემენტებისა და საერთოდ რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ, აგრეთვე დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებთან კონტაქტების დამყარება. **„ოგპუ"**-მაც არ დააყოვნა და დაიწყო პროფესიონალი დამნაშავე ელემენტების, განსაკუთრებით კი ავტორიტეტების რიგებიდან აგენტების გადმობირება და მათგან „ფარული აპარატის" შექმნა. აგენტების უპირველესი ამოცანა იყო საპატიმრო ბანაკებში სასურველი წესრიგისა და დისციპლინის დამყარება. მათ მისცეს გარკვეული პრივილეგიები, – ისინი ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლეს, შეეძლოთ ბანაკის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება და უფლება ჰქონდათ, სასურველ პიროვნებებს შეხვედროდნენ. თავის მხრივ, ბანაკის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა აგენტების ავტორიტეტის ასამაღლებლად. აგენტს, რომელსაც ბანაკის ხელმძღვანელობაში ნაცნობები ჰყავდა, „ბლატნოი", ჟარგონულად „ბლატარი" ეწოდებოდა.

გავიდა ხანი და 30-იან წლებში „ბლატნოი" უკვე „კანონიერი ქურდის" სახელით მოინათლა.

**„ოგპუ"**-მ შექმნა რა „კანონიერი ქურდები", თვითონვე დააწესა მათზე მკაცრი კონტროლი, ხოლო „კანონიერები", თავის მხრივ, ყოველგვარ დავალებებს ასრულებდნენ და ეხმარებოდნენ სამართალდამცველ ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეების გახსნაში, აგრეთვე მონაწილეობდნენ მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთაში.

30-იან წლებშივე „კანონიერმა ქურდებმა" შეიმუშავეს „დაუწერელი ქურდული კანონი", რომელიც ეფუძნებოდა კრიმინალური პრაქტიკიდან შემუშავებულ ქცევისა და წესების პრინციპებს. ამ პრინციპებიდან გამომდინარეობდა ის, რომ მათ საზოგადოებისგან დამოუკიდებლად, თანაც საიდუმლოდ მოეწყოთ პირადი ცხოვრება და მთავარი პოლიტიკაში მათი ჩაურევლობა უნდა ყოფილიყო. „კანონიერები" არ მონაწილეობდნენ სახელმწიფო სტრუქტურების მოღვაწეობაში და არ ზრუნავდნენ მის განმტკიცებაზე. ისინი პირადად არ მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ აქციებში, ამისათვის მათ დამნაშავეთა სამყაროდან ჰყავდათ შემსრულებლები, ე.წ. „ხელის ბიჭები" („შესტიორკები"ძ, „კანონიერ ქურდებში" უნდა არსებობდეს თანასწორობა, სოლიდარობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება. ისინი თავიანთი გულადობით, სიმტკიცით, სიმკაცრით და სამართლიანობით პოპულარული უნდა იყვნენ ხალხში. მათ საკუთრების უფლება არა აქვთ, მაგრამ შეუძლიათ ისარგებლონ ყველაფრით, რაც დამნაშავე ელემენტებს გააჩნიათ. „კანონიერი ქურდი" თავის ტიტულს კარგავდა, თუ გაუპატიურებაში (თუნდაც მცდელობაშიძ დასდებდნენ ბრალს, „კანონიერ ქურდს" არ აპატიებდნენ „კანონიერის" მკვლელობას, თუ მკვლელი ამას ანგარებით ჩაიდენდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უფლებამოსილება არც განუსაზღვრელია, – ის მთლიანად დამოკიდებული იყო ქურდების ყრილობაზე („სხოდკაზე"ძ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

„კანონიერ ქურდს"არ უნდა შეექმნა ოჯახი.

„კანონიერ ქურდებს" მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ ეთნოკონფლიქტებში. თუ ამ მოთხოვნას ვინმე არ დაიცავდა და ქურდულ პრინციპებს არაფრად ჩააგდებდა, მაშინ ასეთს „საქმო" გაასამართლებდა და სასტიკ განაჩენს გამოუტანდა. საერთოდ, „კანონიერი ქურდები" თავიანთ „საქმოს" ინტერესებს იცავდნენ და ქურდების ტრადიციებით „ნაკურთხ" წესრიგს არ ღალატობდნენ. „კანონიერ ქურდად" კურთხევა საბჭოს მიერ ხდებოდა, ხოლო საბჭოში არანაკლებ სამი „კანონიერი" უნდა ყოფილიყო. ზოგიერთმა „კანონიერმა ქურდმა" ისე გაუტია და შეტოპა, რომ „ქურდულ საქმოს" უღალატა და შინსახკომის თანამშრომელი გახდა, ხოლო შემდეგ თვით იწყებდა ყოფილი „ძმების" დაშოშმინებას.

ასე იყო ადრე... გავიდა ხანი და 60-80-იან წლებში ახალგამოჩეკილმა „კანონიერებმა" უარყვეს ძველი ტრადიციები. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კავკასიური წარმოშობის „კანონიერმა ქურდებმა". მათ ხელი მიჰყვეს წმინდა სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებს, ცოტა ხნის შემდეგ კი ჩაერთვნენ კომერციულ საქმიანობაში და ნარკობიზნესში, დაიწყეს იარაღით ვაჭრობა და ა.შ. მთავარი მაინც ის იყო, რომ მათ დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ ჩაეგდოთ ქვეყნის პოლიტიკური ძალაუფლება ხელში. სხვათა შორის, ეს ის დრო იყო, როდესაც ხელისუფლების ორგანოთა ზოგიერთი სტრუქტურა უკვე მაფიის ხელში აღმოჩნდა.

1979 წელს კისლოვოდსკში, როდესაც მ. გორბაჩოვი პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, ჩატარდა ე.წ. „ცეხოვიკების" („ამქრების"ძ საკავშირო ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ჩასულმა „კანონიერმა ქურდებმა". „სხოდკაზე" მიიღეს შეთანხმება, რის საფუძველზეც იატაკქვეშა საქმოსნებს და კომუნისტებს ქურდული „ობშჩიაკში" უნდა შეეტანათ თავიანთი შემოსავლების მოგებიდან ათი პროცენტი. თავის მხრივ, „კანონიერები" ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს შეჰპირდნენ, რომ დაიცავდნენ მათ ინტერესებს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის დროს, მონაწილეობას მიიღებდნენ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციაში და მოუგვარებდნენ ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

თუ ხრუშჩოვის დროს გაჩნდა იატაკქვეშა საწარმოები, კერძო ბიზნესი და დაიწყო კორუფცია, მომრავლდნენ მექრთამეები, გამომძალველები და მძარცველები, მაშინ გორბაჩოვის „პერესტროიკის" ხანაში „კანონიერებს" და საერთოდ კრიმინალურ სამყაროს ოქროს ხანა დაუდგა, რომლის დროსაც რეციდივული მოვლენები უფრო დიდი მასშტაბით განვითარდა.

არსებობს მოარული ხმები, რომ 1982 წელს თბილისში ჩატარდა „კანონიერი ქურდების" მორიგი ყრილობა, სადაც განიხილებოდა საკითხი პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ. სწორედ მაშინ საბჭოთა კავშირის ცალკეულ რეგიონებში ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა მაფიაზე იყო დაფუძნებული, საერთოდ, „კანონიერი ქურდების" გააქტიურებამ საქართველოში 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში კულმინაციას მიაღწია, საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთ კოლონიაში „კანონიერებს" შორის ყველაზე უფრო ტიტულოვან ავტორიტეტს ადმინისტრაცია ზონის „საგაიდაკად" („მეთვალყურედ"ძ ნიშნავდა და მას დიდ უფლებებს აძლევდა.

1986 წელს საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ორმოცდათორმეტი ავტორიტეტული „კანონიერი ქურდი" დაიჭირა. მათ ყველას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს და საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს განაწესით ეტაპით შორეულ გზას გაუყენეს, – ისინი რუსეთის კოლონიებში ჩამოარიგეს. ალბათ, მათი რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა, ამ კამპანიის დაწყების შესახებ ინფორმაციას რომ წინასწარ არ გაეჟონა და ზოგიერთ „კანონიერ ქურდს" საქართველოდან არ გაესწრო და ნავსაყუდელი რუსეთში მოეძებნა. იყო შემთხვევა, როდესაც „კანონიერებმა" მოაწყვეს არეულობა, უწესრიგობა და გამოაცხადეს დაუმორჩილებლობა. ასეთი დაგეგმილი აქციების შესაბამისად, მთელს საბჭოთა იმპერიაში 1991 წელს დაიწყო მეამბოხეთა მოძრაობა. ისინი მოითხოვდნენ საპატიმრო ადგილებში შენახვის რეჟიმის პირობების შეცვლას. „საკავშირო ამბოხების" ექომ თბილისშიც ჰპოვა გამოხმაურება. 1991 წლის 28 ოქტომბერს თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში მოხდა მასობრივი არეულობა – ამბოხება გაქცევის მცდელობის მიზნით. ეს მასობრივი დაუმორჩილებლობა ტრაგიკულად დამთავრდა, დაიჭრა 22, დაიღუპა 4, ხოლო რამდენიმე პატიმარმა კი იზოლატორიდან გაქცევა მოახერხა.

იხ. 12 გვ.

● საქართველო დათანხმდება მოლაპარაკება აწარმოოს მშვიდობისმყოფელთა შტაბის ახლანდელ უფროსთან, გენერალ-მაიორთან ევგენი აჩალოვთან, თუ იგი სარდლად დაინიშნება



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჩაბანს მანდატი გაუგრძელეს

*თბილისი გაასაჩივრებს ასტანაში თანამეგობრობის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხუთი თვით გაუგრძელოს მანდატი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების სარდალს, გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს. ოქტომბრის დამლევს საქართველოს ხელისუფლებამ იგი „არასასურველ პერსონად" გამოაცხადა. ჩაბანის გაძევება მოითხოვა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოფელ განმუხურში ჩასვლისას, სადაც ერთი თვის წინათ რუსეთის მშვიდობისმყოფელებსა და ქართველ პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. ჩაბანისათვის მანდატის გაგრძელების პასუხად საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრებს უფლება არ ჰქონდათ სარდლისათვის მანდატი გაეგრძელებინათ, რადგან ეს თანამეგობრობის საგარეო საქმეთა სამინისტროების მეთაურთა პრეროგატივაა (შეგახსენებთ, რომ საქართველო დსთ-ში შედის, თუმცა რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა თავდაცვის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდანძ. ამასთან, თბილისი კვლავაც დაბეჯითებით მოითხოვს გენერალ ჩაბანის გაძევებას. ახლა ბეჟუაშვილი მადრიდს გაემგზავრა ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, სადაც თავის რუსეთელ კოლეგასთან სერგეი ლავროვთან აპირებს ამ საკითხის განხილვას.*

„ჩაბანისათვის მანდატის გაგრძელება რუსეთის მხრიდან პოლიტიკური ცინიზმია, — განუცხადა „ვრემია ნოვოსტის" საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე გაბაშვილმა. — ჩვენ პროტესტს გავუგზავნით გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. ვფიქრობ, გენერალი ამ პოსტს ხუთი თვე ვერ შეინარჩუნებს". საქართველო ასევე არ დაუშვებს „არასასურველი" სარდლის შესვლას მის კონტროლს დაქვემდებარებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე (მშვიდობისმყოფელთა მანდატი ზუგდიდის რაიონის ტერიტორიის ნაწილზეც ვრცელდებაძ.

მაგრამ, როგორც თვითალიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში მიაჩნიათ, ეს მშვიდობისმყოფელებს თავიანთი ფუნქციების შესრულებაში ხელს ვერ შეუშლის. „მშვიდობისმყოფელები დასახულ ამოცანებს „ფრიადზე" ასრულებენ, — უთხრა „ვრემია ნოვოსტის" აფხაზთა გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ანატოლი ზაიცევმა. — რაც შეეხება სარდლის დასავლეთ საქართველოში არშეშვებას, იქ სიტუაციას მისი ხელქვეითი შტაბის ოფიცრები გააკონტროლებენ".

თბილისში ვარაუდობენ, რომ თანამეგობრობის მინისტრებმა გენერალ ჩაბანს უფლებამოსილება რუსეთის თხოვნით გაუგრძელეს. „მანდატი იმიტომ გავუგრძელეთ, რომ უახლოეს ხანში ახალ კანდიდატურას შევარჩევთ საქართველოს მიერ გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით", — თქვა რუსეთის თავდაცვითი უწყების მეთაურმა ანატოლი სერდიუკოვმა. თუმცა საქართველომ გუშინვე წამოაყენა თავისი კანდიდატი მშვიდობისმყოფელთა სარდლის პოსტზე. სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ საქართველო დათანხმდება მოლაპარაკება აწარმოოს მშვიდობისმყოფელთა შტაბის ახლანდელ უფროსთან, გენერალ-მაიორთან ევგენი აჩალოვთან, თუ იგი სარდლად დაინიშნება.

საქართველოს ინიციატივის შესახებ სოხუმში მყოფმა გენერალმა ევგენი აჩალოვმა „ვრემია ნოვოსტის" კორესპონდენტისგან შეიტყო. „მე, როგორც სამხედრო, ნებისმიერი დანიშვნისათვის მზად ვარ", — თქვა მან. საქართველოს ისე ვიცნობ, როგორც საკუთარ სამშობლოს", — განაცხადა ევგენი აჩალოვმა. ხუთი წლის განმავლობაში ევგენი აჩალოვი სამხრეთ საქართველოში ახალქალაქში რუსეთის 62-ე ბაზაში მსახურობდა მეთაურად. რუსეთმა ბაზა წლეულს ზაფხულში დახურა და გენერალმა ობიექტი ბოლომ დატოვა. შემდეგ აჩალოვი ისვენებდა, ერთი კვირის წინათ კი მშვიდობისმყოფელთა შტაბს ჩაუდგა სათავეში.

**მიხაილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# რა ადგილს დაიკავებს ფაზილ ალიევი?

*საქართველოში საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობისათვის განაცხადების ოფიციალური მიღება 26 ნოემბერს 18.00 საათზე დამთავრდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სულ 22 განაცხადია შეტანილი. ერთ-ერთი მათგანი აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეს ფაზილ ალიევს ეკუთვნის. ის ერთადერთი არაქართველია პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის, რომელთა რიცხვში არიან ირინა სარიშვილი-ჭანტურია, დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი, არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილი, გიორგი მაისაშვილი, ლევან ქიქინიძე, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი შერვაშიძე, შალვა კუპრაშვილი, შალვა ცერცვაძე, ლევან გაჩეჩილაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, არჩილ იოსელიანი, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი გახოკიძე, გია ჩხიკვაძე, თამაზ ბიბილური, ავთანდილ მარგიანი და ავთანდილ ფილაური. ყველა პრეზიდენტობის კანდიდატმა 10 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს 50 ათასი მომხრის ხელმოწერა. მომხრეთა სიების შემოწმებისას შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში კანდიდატებს მათი გამოსწორებისათვის 3 დღე მიეცემათ. მთელი ამ პროცედურების შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს ამა თუ იმ კანდიდატის რეგისტრაციის საკითხს. რეგისტრაციის მიღების შემდეგ კი, 12 დეკემბრიდან, კანდიდატები საარჩევნო ბრძოლაში ჩაებმებიან. „ექო" ტელეფონით დაუკავშირდა ფაზილ ალიევის საარჩევნო შტაბის უფროსს დაშიგინ გიულმამედოვს. სწორედ ის არის პრეზიდენტობის კანდიდატად ფაზილ ალიევის წამომყენებელი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი. ამჟამად ისინი ორივე თბილისში იმყოფებიან.*

**— როდის გაემგზავრეთ სამშობლოში და რამე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას?**

— 26 ნოემბერს დილით მე და ფაზილ ალიევმა გადავკვეთეთ საზღვარი. ცოტა ხნით შევფერხდით, რადგან საზღვარს სპეციალური დანიშნულების რაზმი აკონტროლებდა. ჩვენთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ. შემდეგ თბილისში ფაზილ ალიევის დოკუმენტები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიტანე რეგისტრაციისათვის. იქაც არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ჯერჯერობით ყველაფერი დემოკრატიულად მიმდინარეობს.

**— უკვე დაიწყეთ ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება?**

— დიახ, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კამპანიაში უკვე ჩავებით. ჯერჯერობით მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ გვიქმნის. ახლა წარმატებით ვაგროვებთ ხელმოწერებს კანდიდატ ალიევის მხარდასაჭერად. კამპანიის ძირითადი ნაწილი თბილისში მიმდინარეობს, აგრეთვე გარდაბნის რაიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 28 ნოემბრიდან კი კამპანიას დავიწყებთ ბორჩალოში (ქვემო ქართლიძ და კახეთის რეგიონში, იმ ადგილებში, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ — ეს, ძირითადად, ლაგოდეხის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებია. შტაბში ხშირად გვირეკავენ, მოგვმართავენ აზერბაიჯანელები. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თანამემამულენი უპრეცედენტო აქტიურობით უჭერენ მხარს ფაზილ ალიევის კანდიდატურას. ის ადამიანებიც კი, რომლებიც ადრე, მთელ რიგ გარემოებათა გამო, არასერიოზულად გვეკიდებოდნენ, ჩვენ მოგვემხრნენ. საჯაროდ ვაცხადებ, რომ ვერც ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ვერც სხვა კანდიდატები, მათ შორის შალვა ნათელაშვილი და ლევან გაჩეჩილაძე, ვერც „ჯიბის" პარტიების წვრილ-წვრილი პრეტენდენტები საერთოდ ვერ მოიპოვებენ ხმებს ქვემო ქართლში და კახეთის აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში. ადრე ქართველები არჩევნების წინ მუდამ ამბობდნენ, აზერბაიჯანელები არსებულ ხელისუფლებას მისცემენ ხმასო. მაგრამ ახლა სხვა დროა. ამჯერად დემოკრატიული არჩევნები იქნება. მინდა აღვნიშნო, რომ არც გაერთიანებულ ოპოზიციას, არც ლეიბორისტულ პარტიას ქვემო ქართლში პირველადი ორგანიზაციებიც კი არ აქვთ, ანუ მათ მომხრეები არ ჰყავთ. სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლობა კი არც ისე ძლიერია, თანაც ადამიანები ხედავენ პრეზიდენტობის პერიოდში როგორ მოაგვარა აზერბაიჯანელთა პრობლემები და მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ. ახლა საქართველოში აზერბაიჯანელთა ეროვნული სულისკვეთების აღმავლობა იგრძნობა.

**— ქვეყნის სხვა რეგიონებში ფაზილ ალიევის პოპულარობის შესახებ რას გვეტყვით?**

— ახლა მის კანდიდატურას მხარს არა მხოლოდ აზერბაიჯანელები, არამედ ქართველებიც უჭერენ. მაგალითად, მოვიყვან თუნდაც იმ ფაქტს, რომ ალიევის საინიციატივო ჯგუფში მხოლოდ მე ვარ აზერბაიჯანელი, ჯგუფის დანარჩენი ოთხი წევრი ქართველია. გარდა ამისა, უკვე მოგვმართა ზოგიერთმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადებს, რომ მხარს უჭერს ფაზილ ალიევის კანდიდატურას. ქართველთაგან შემდგარი დაახლოებით ოცი არასამთავრობო ორგანიზაციაც ამასვე აპირებს, რომ აღარაფერი ვთქვათ აზერბაიჯანელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. პანკისის ხეობაშიც გვყავს მხარდამჭერები. იქ ქისტები ცხოვრობენ, ისინიც ფაზილ ალიევს უჭერენ მხარს და ამ დღეებში გავემგზავრებით, რათა ხელმოწერების შეგროვების კამპანია დავიწყოთ. მომხრეთა ნაწილი გვყავს სამეგრელოშიც, ძირითადად ზუგდიდსა და აბაშაში. იგივე შეიძლება ითქვას იმერეთზე — ქალაქ ქუთაისზე და ზესტაფონის რაიონზე. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მომხრეები სამცხე-ჯავახეთშიც გვყავს და ამ დღეებში იქაც დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში მოაგროვებთ ალიევის რეგისტრაციისათვის საჭირო ხმების რაოდენობას?**

— თუ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები და სპეციალური დანიშნულების რაზმები ჩვენი მომხრეების წინააღმდეგ პროვოკაციებს არ მიმართავენ, დადგენილი ვადისათვის თავისუფლად შევაგროვებთ 50 ათას ხელმოწერას და საარჩევნო აგიტაციას დავიწყებთ.

**— 20 დეკემბერს იწყება საარჩევნო კამპანია. რამდენად რეალურია, რომ ალიევს ხმას მისცემენ არაქართველები?**

— ყველა ადრინდელი პრეზიდენტი ატყუებდა საქართველოს ხალხს. 15 წლის განმავლობაში საქართველოში სამი პრეზიდენტი იყო და არც ერთი პრობლემა არ გადაჭრილა, პრობლემების რაოდენობა მხოლოდ მატულობდა. ალიევი ის ახალი კანდიდატია, რომელიც არ არის გარეული კორუფციაში, სიცრუეში და ა.შ. ჩვენი მიზანია საქართველოს ტერიტორიის გაერთიანება და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

**— გასაგებია, რომ აჭარლებმა ან ჩეჩნებმა შეიძლება მხარი დაუჭირონ ალიევს, რადგან მუსლიმანები არიან. მაგრამ ქართველი ქრისტიანები რატომ იზამენ ამას?**

— ფაზილ ალიევი საქართველოს ყველა მოქალაქის კანდიდატია და ამ შემთხვევაში ეროვნულ თუ რელიგიურ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

**— სრულფასოვანი კამპანიის საწარმოებლად მნიშვნელოვანი სახსრებია საჭირო. თუ აქვს ეს სახსრები თქვენს შტაბს.**

— ფინანსურად მეგობრები და ნათესავები, საქართველოს მოქალაქეები გვეხმარებიან. ბევრმა ადამიანმა უკვე გვაცნობა, რომ შეუძლია კონკრეტული თანხები გამოყონ ჩვენი კანდიდატის მხარდასაჭერად. ალიევის რეგისტრაციის შემდეგ ოფიციალურად გამოვაქვეყნებთ ფინანსური წყაროების შესახებ ინფორმაციას. ყველაფერი საქართველოს კანონებისა და კონსტიტუციის ფარგლებში იქნება.

ЭХО

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# დედამიწის ზურგზე

**კოსოვო სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს და იმუქრება, რომ ცალმხრივი წესით გამოაცხადებს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ**

# კოსოვოს საკითხზე მოლაპარაკება ჩაიშალა

**ოთხშაბათს უშედეგოდ დამთავრდა ავსტრიაში სერბიის კოსოვოს პროვინციის სტატუსის შესახებ მოლაპარაკების ბოლო რაუნდი. არც სერბიამ და არც პროვინციის ხელმძღვანელობამ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ალბანელები შეადგენენ, არ გამოავლინეს თავიანთი პოზიციების შეცვლის სურვილი.**

კოსოვოს პრეზიდენტმა ფატმირ სეიდიუმ განაცხადა, რომ მხარეებმა პროვინციის მომავალი სტატუსის შესახებ მოლაპარაკებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ სერბიის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა აღნიშნა, რომ ბელგრადი გააუქმებს კოსოვოს ხელისუფალთა ნებისმიერ გადაწყვეტილებას ცალმხრივი წესით დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ფრენკ ვისნერმა ხაზი გაუსვა, რომ რეგიონში მშვიდობას საფრთხე შეექმნა. მან ორივე მხარეს მოუწოდა პროვინციის სტატუსის თაობაზე მორიგებათა მიღწევისათვის დადგენილი ფორმალური ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი დაპირებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და დიალოგის წარმოების შესახებ.



გარდა ამისა, ევროკავშირის წარმომადგენელმა ვოლფგანგ იშინგერმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების რაუნდის დასრულება არ ნიშნავს მთელი მოლაპარაკების პროცესის შეწყვეტას.

კოსოვო სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს და იმუქრება, რომ ცალმხრივი წესით გამოაცხადებს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

სამშაბათს სერბიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოსოვოს სტატუსის შესახებ საკითხი მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. 10 დეკემბერს საერთაშორისო შუამავლებმა — შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა და ევროკავშირმა გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს უნდა წარუდგინონ მოხსენება კოსოვოს სტატუსის გადაწყვეტის პრობლემის შესახებ.

ამასობაში ნატოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად არიან აღკვეთონ ძალადობის აქტები იმ შემთხვევაში, თუ კოსოვო ცალმხრივი წესით გამოაცხადებს დამოუკიდებლობას. როგორც ნატოში აღნიშნავენ, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სერბიის პროვინციაში ნატოს კონტინგენტი შეინარჩუნებს გაეროს რეზოლუციით მისთვის მინიჭებულ მანდატს.



# ბუშს აბასისა და ოლმერტის სახელები შეეშალა

**ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომლის შუამდგომლობითაც შეერთებულ შტატებში პალესტინისა და ისრაელის ლიდერთა შეხვედრა გაიმართა, სწორად ვერ გამოთქვა მაჰმუდ აბასის და ეჰუდ ოლმერტის სახელები, როცა ისინი წარადგინა ერთობლივი განცხადების გაკეთებამდე, წერს „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი“. თავისი უხეირო მოქმედებით მან დაარღვია საზეიმო მომენტი და პრესას კვლავ გაუჩინა ეჭვი ახლო აღმოსავლეთის დიალოგის პერსპექტიულობის მიმართ.**

„არცთუ ურიგოდ დავიწყეთ“, ჩაიცინა ანაპოლისში კონფერენციის გახსნისას ბუშმა, თუმცა მანამდე უხერხული სიტუაცია შექმნა პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ხელის ჩამორთმევისას. ყოველივე ეს მაინცდამაინც არ შეეფერებოდა ისტორიულ მომენტს, რომელსაც დამსწრენი ელოდნენ, და სრულებითაც არ წააგავდა იმ ცნობილ სცენას თეთრი სახლის წინ მდელოზე, სადაც ბილ კლინტონმა იასირ არაფატი და იცხაკ რაბინი შეარიგა, წერს „გარდიანი“. აბასიც და ოლმერტიც სუსტი ლიდერები არიან და ორივეს ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავთ, აღნიშნავს გაზეთი. ორივე თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, თითქოსდა იმის ხაზგასასმელად, რომ მოლაპარაკებას იწყებენ საკუთარი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. ტექნიკური გაუმართაობის გამო სამხედრო საზღვაო აკადემიის შენობაში შეკრებილმა ასობით ჟურნალისტმა პალესტინის ლიდერის სიტყვის ინგლისური თარგმანი მისი დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმინა.

# არგენტინაში ნაცისტებზე ნადირობა განახლდა

**ისრაელის სიმონ ვიზენტალის ცენტრმა ლათინურ ამერიკაში თავშეფარებულ ნაცისტ დამნაშავეებზე ნადირობა გამოაცხადა. ორგანიზაციის დირექტორის ეფრაიმ ზუროფის თქმით ამ ადამიანების მიერ ჩადენილი მხეცობის პატიება შეუძლებელია. ამიტომ ჯერ კიდევ შემორჩენილი ფაშისტები უნდა ვიპოვოთ და დავსაჯოთ.**

ისრაელ შურისმაძიებელთა ძირითადი სამიზნეა დოქტორი არიბერტ ჰაიმი, რომელიც შეიძლება ჩილეში ან არგენტინაში ცხოვრობს. ვიზენტალის ცენტრი 460 ათასი დოლარის ჯილდოს აწესებს ინფორმაციისთვის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ფაშისტი დამნაშავის დაჭერა და დასჯა. „სიკვდილის ექიმად“ წოდებული ჰაიმი ექიმად მუშაობდა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში — ის თავისი ხელით აწამებდა და კლავდა მაუტჰაუზენის ტუსაღი. ზუროფის თქმით, ჰაიმის ქალიშვილი ამჟამად ჩილეში ცხოვრობს, ხოლო ყოფილ ნაცისტს გერმანიაში კვლავაც აქვს 1,5 მილიონი დოლარის საბანკო ანგარიში. თუ ჰაიმი ცოცხალია, ახლა იგი 93 წლის იქნება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა ცნობილმა ნაცისტმა სამხრეთ ამერიკას შეაფარა თავი, მათი უმეტესობა არგენტინაში დამკვიდრდა. 1995 წელს იტალიაში იქნა ექსტრადირებული ყოფილი კაპიტანი ერიხ პრიბკე — მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 1944 წელს 335 მშვიდობიანი იტალიელის მკვლელობაში მონაწილეობისათვის.

ნაცისტ დამნაშავეთა მიმართ შურისგების ყველაზე ცნობილი აქცია იყო ყოფილი პოდპოლკოვნიკის ადოლფ ეიჰმანის დაჭერა, რომელსაც მილიონობით ებრაელის განადგურებაში მიუძღვის ბრალი. იგი 1960 წელს ბუენოს-აირესში მოიტაცეს „მოსადის“ აგენტებმა და ისრაელში ჩაიყვანეს, სადაც ორი წლის შემდეგ ჩამოახრჩვეს.



# კულტურის მინისტრმა ბრიტანული დროშის შეცვლის საკითხი დააყენა

**დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრმა მარგარეტ ჰოჯმა განაცხადა, რომ განიხილავს შეერთებული სამეფოს დროშის შეცვლის საკითხს. მისი აზრით, დროშას უნდა დაემატოს უელსის სიმბოლო — დრაკონი. დროშის გარეგნულ იერსახეში, რომელიც უკვე 200 წელზე მეტი ხანია არ შეცვლილა. კორექტივების შეტანა მან თემთა პალატის სხდომაზე შესთავაზა პარლამენტარებს, წერს „გარდიანი“.**



იმის მიუხედავად, რომ უელსი სამეფოს ოთხი ძირითადი ტერიტორიული ერთეულიდან ერთ-ერთია (ინგლისს, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიასთან ერთად), მისი სიმბოლოები თავის დროზე არ ასახულა სახელმწიფო დროშაზე. „ვალიური დრაკონი დროშაზე ვერ მოხვდა, რადგან უელსის სამეფო ინგლისთან უკვე გაერთიანებული იყო 1606 წელს, როცა პირველი სახელმწიფო დროშა შეიქმნა, — განმარტა ჰოჯმა. — მინდა პარლამენტის წევრებს აღვუთქვა, რომ განვიხილავთ საკითხს დროშის გარეგნული იერსახის შეცვლის თაობაზე“.

ბრიტანეთის დროშის ისტორია დასაბამს მე-17 საუკუნის დამდეგიდან იღებს, როცა ინგლისის სამეფო ტახტი შოტლანდიის დედოფლის მარიამ სტიუარტის ვაჟიშვილმა — ჯეიმს პირველმა დაიკავა. გახდა რა ინგლისისა და შოტლანდიის მონარქი, 1606 წლის 12 აპრილს მან დაამტკიცა თავისი სამფლობელოების ერთიანი დროშა, სადაც ერთმანეთს შეუთავსა ინგლისის მფარველი წმინდა გიორგისა და შოტლანდიის მფარველი წმინდა ანდრიას ჯვრები. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ჯეიმსის სახელი ეწოდა დროშას, რომელსაც „იუნიონ ჯეკად“ მოიხსენიებენ. მე-19 საუკუნის დასაწყისში დროშაზე წმინდა პატრიკის ირლანდიური ჯვარიც გაჩნდა და მას შემდეგ მისი იერსახე არ შეცვლილა.

# მუშარაფი შეიარაღებულ ძალებს დაემშვიდობა

**პაკისტანის პრეზიდენტი გენერალი ფერვეზ მუშარაფი გადადგა პაკისტანის არმიის მთავარსარდლის პოსტიდან და უფლებამოსილება გენერალ აშფაკ ფერვეზ კიანის გადააბარა ცერემონიაზე, რომელსაც პირდაპირ ეთერში გადასცემდა სახელმწიფო ტელევიზია. ახლა მუშარაფს, როგორც სამოქალაქო პირს, შეუძლია ახალი ვადით დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი.**

პაკისტანში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი შეიძლება 48 საათში გაუქმდეს, იტყობინებიან ადგილობრივი ტელეარხები საინფორმაციო წყაროების დამოწმებით. მათი მონაცემებით, ფერვეზ მუშარაფი მაშინვე გააუქმებს საგანგებო მდგომარეობას, როგორც კი ხუთშაბათს პრეზიდენტის ფიცს დადებს. დღეიდან კი ის სამოქალაქო პრეზიდენტია. არსებითად, მან შეასრულა ოპოზიციის მოთხოვნები და მთავარსარდლის უფლებამოსილება მოიხსნა.

ფერვეზ მუშარაფის 46-წლიანი სამხედრო კარიერის დასრულების ცერემონია ისლამაბადის მახლობლად მდებარე ქალაქ რავალპინდში განლაგებული საჯარისო გარნიზონის ტერიტორიაზე პაკისტანის არმიის შტაბბინაში გაიმართა. როგორც ვარაუდობენ, ხუთშაბათს ფერვეზ მუშარაფი, რომელმაც ოქტომბერში გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა მეორე ხუთწლიანი ვადით დადებს ფიცს. ამიერიდან ის სამოქალაქო პრეზიდენტი იქნება. პაკისტანის არმიის ახალი მთავარსარდალი გახდა აშფაკ ფერვეზ კიანი, რომელიც მუშარაფის უახლოეს თანამებრძოლად ითვლება.



№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

● გამოცდილი სამართალდამცველები, რომლებიც სარწმუნო ინფორმაციის საფუძვლებს ეყრდნობიან, ამტკიცებენ, რომ ბოლო დროს „კანონიერი ქურდის“ ტიტულის გვირგვინი შეუძლიათ მიილონ შესაბამისი თანხის გადახდით, რომელიც ქურდულ „ობშჩიაკში“ (სალაროში) შედის

საქმე №2-805

# განჩინება

## გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

22 ნოემბერი 2007 წელი ქ.გორი

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის გიორგი მერაბიშვილის განცხადება გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

კასპის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინებით გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ მიმართ.

საქმის წარმოებისას დადგინდა გაკოტრების მასა, კრედიტორთა ვინაობა, დავალიანების ოდენობა, დამტკიცდა გაკოტრების ტაბულა;

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ დარჩენილი ქონება ორჯერ იქნა გატანილი აუქციონზე, მაგრამ მყიდველთა არარსებობის გამო აუქციონი გამოცხადდა არშემდგარად.

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველმა განცხადებით მომართა სასამართლოს კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ გაკოტრების მასის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევისა და საუქციონო დებულებაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის გიორგი მერაბაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.

მოწვეული იქნეს შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ კრედიტორთა კრება 2007 წლის 11 დეკემბერს 16 საათზე გორის რაიონული სასამართლოს შენობაში (მის.ქ.გორი, ჯორბენაძის ქ.№30ძ „ფაბრიკის“ ქონების შემდგომი ბედისა და მისი გასხვისების წესის გარკვევის მიზნით.

ამ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსდეს სასამართლოს დაფაზე.

განჩინების ასლები გადაეგზავნოს კრედიტორებს.

განიმარტოს, რომ განჩინების გავრცელებიდან 2 (ორი) დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ;

განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე დავით პაპუაშვილი.

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: დამსაქმებელი სამუშაოდან მათავისუფლებს იმის გამო, რომ მონაწილეობა მივიღე გაფიცვაში. ჩაითვლება თუ არა ჩემი მოქმედება შრომის დისციპლინის დარღვევად და სწორია ასეთი გადაწყვეტილების მიღება დამსაქმებლის მხრიდან?**

**ამირან ქერქაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და გახდეს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევებისა.



* * *

**კითხვა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სრულიად მოულოდნელად გამომიცხადა, ამ რამდენიმე დღეში სამსახური უნდა დატოვო, მე სხვანაირი კადრი მჭირდებაო. 15 წელია, ერთგულად ვემსახურებოდი. იყო თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, ერთი თვით ადრე წერილობით გავეფრთხილებინე, თუ ჩემი გათავისუფლება ჰქონდა გადაწყვეტილი?**

**გურამ ჩადუნელი**

**პასუხი:** სამწუხაროდ, ახალი შრომის კოდექსი აღარ მიუთითებს დამსაქმებლის მხრიდან მსგავსი ვალდებულებების შესრულებაზე, პირიქით, ხაზს უსვამს დასაქმებულის ვალდებულებას, თუ პირადი ინიციატივით სამუშაოდან გათავისუფლება სურს, 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ დამსაქმებელს.

* * *

**კითხვა: ვარ სამხედრო ძალების ვეტერანი. მქონდა შეღავათები ყველა სახის კომუნალური გადასახადების გადახდის დროს, რომელიც მნიშვნელოვნად შემიმცირეს. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ოდენობის სუბსიდია მეკუთვნის გადასახადების დასაფარავად?**

**აბესალომ ქაჯაია**

**პასუხი:** საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილების შესაბამისად, სამხედრო ძალების ვეტერანებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია ეძლევათ თვეში 22 ლარის ოდენობით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## ◉ ასე იშვა



**(მეცხრე გვერდიდან)**

დღეს ჩვენთან „კანონიერი ქურდის“ დაპატიმრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ის ოფიციალურად აღიარებს, რომ „კანონიერია“ და თავისი ტიტულის შენარჩუნებაზე ფიქრობს, არადა, „კანონიერი ქურდის“ დაპატიმრება უნდა ხდებოდეს სამართლებრივ საფუძველზე. თუ მათ ჩადენილი აქვთ გამოძალვის, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის, ადამიანთა გატაცებისა და ტრეფიკინგის (ადამიანებით ვაჭრობა) დანაშაულებრივი ფაქტები, ასეთები ძალზე მკაცრად უნდა დაისაჯონ.

გამოცდილი სამართალდამცველები, რომლებიც სარწმუნო ინფორმაციის საფუძვლებს ეყრდნობიან, ამტკიცებენ, რომ ბოლო დროს „კანონიერი ქურდის“ ტიტულის გვირგვინი შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი თანხის გადახდით, რომელიც ქურდულ „ობშჩიაკში“ (სალაროში) შედის. იმასაც ამბობენ, რომ კავკასიური წარმოშობის ქურდები „კანონიერის“ ტიტულის მიღებას ფულის წყალობით ახერხებდნენ, რომ ფასი სხვადასხვა იყო და ის ასი ათასიდან მილიონ დოლარამდე მერყეობდა, რომ მათი კორონაცია და „კანონიერად“ დამტკიცება „სხოდკაზე“ ხდებოდა, სადაც განხილვაში „უსტაბაშები“ და ცნობილი ავტორიტეტები მონაწილეობდნენ.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავ, რომ „კანონიერი ქურდების“ ორი კატეგორია არსებობს – „ტრადიციონალისტები“ და „მოდერნისტები“. პირველში რუსები შედიან, რომლებიც, იცავენ რა ძველ „ქურდულ კოდექსს“ და უარყოფენ კომერციულ საქმიანობას, ძირითადად გამოდიან მომრიგებელ მოსამართლეთა როლში „მოდერნისტებად“ ითვლებიან კავკასიური წარმოშობის „კანონიერები“, რომლებიც დაადგნენ კაპიტალიზაციის გზას და განაგებენ კომერციულ საქმიანობას და ბიზნესს. მათ დაიწყეს ლეგალიზება და კაპიტალის დაგროვება.

საილუსტრაციოდ მომყავს ინფორმაცია ერთ-ერთ ცნობილ და უმდიდრეს „კანონიერ ქურდზე“ შაქრო კალაშოვზე („შაქრო-მალადოი“ძ, რომელიც წარმოშობით თბილისელი ქურთია. მას ესპანეთში საკუთარი ბიზნესი ჰქონდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ „შაქრო-მალადოის“ წყნეთში სხვის სახელზე ჰქონდა 30 მილიონ დოლარად შეფასებული ფეშენებელური სახლი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩამოართვა, ესპანეთში კალაშოვს „ქართული და რუსული მაფიების გენერალს“ უწოდებენ. ესპანეთში მისი დაპატიმრება ვერ მოახერხეს, რადგან მან გაქცევით უშველა თავს და არაბთა ემირატებში აღმოჩნდა. ესპანეთის ინტერპოლის მოთხოვნით იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს და ამჟამად ესპანეთის ციხეში იხდის სასჯელს.




საქართველოდან ბევრი „კანონიერი“ რუსეთშია გადახვეწილი. ისინი იქ კრიმინალურ ლიდერობაზე დებენ თავს და პრეტენზიებს აცხადებენ, რაც, ბუნებრივია, იწვევს სლავური ეროვნების „კანონიერებთან“ დაპირისპირებას, კონფლიქტებს, შეხლა-შემოხლას, სისხლიან გარჩევებს, რომლებიც ხშირად მსხვერპლით მთავრდება.

რაც არ უნდა პარადოქსულად და დაუჯერებლად გამოიყურებოდეს, ქურდული სამყაროს ლიდერების დევნა, კომპრომენტაცია და სამართლებრივად უსაფუძვლო რეპრესიები ქვეყანას და საზოგადოებას უარყოფით შედეგებს მოუტანს, რადგან პირველ რიგში მოიშლება აღიარებული კრიმინალების და რეციდივისტების მიმართ მანამდე სამართალდამცველ ორგანოთა მხრიდან დაწესებული სისტემური და მუდმივი კონტროლი. მთავარი მაინც ის იქნება, რომ ძალზე შესუსტდება ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. ყოველივე ეს გამოიწვევს უკუქმედებას, ინტენსიურად გაიზრდება სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობა და შესაბამისად მოიმატებს გაუხსნელი საქმეების რიცხვი.

**გურამ ჩხიკვაძე**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 13-69

**26 ნოემბერი 2007 წელი**
**27.11.07 წ.**
**300.320.000.36.101.011.149**

### „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №6-35 გადაწყვეტილებაში დამატებების შეტანის შესახებ

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №6-35 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის დამატებები:

**ა)** გადაწყვეტილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

,,6) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებისა და უსინათლოებისათვის ქ. თბილისში საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით მგზავრობა გახდეს უფასო.“

**ბ)** გადაწყვეტილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დაევალოს ქალაქ თბილისის მთავრობას შპს ,,თბილისის მეტროსა“ და შპს ,,თბილისის ავტობუსზე“ დაადგინოს დამატებითი შეღავათები მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების მიმართ.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია შედის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეზაშვილი**

● რაც დრო გადის, ათლეტიზმი საქართველოში უფრო პოპულარული ხდება. მისი „გეოგრაფია“ იზრდება

## ორბიტაზე

### ლიონელ მესი — საუკეთესო



**„ბარსელონას“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ლიონელ მესი აღიარეს 21 წლამდე ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად.**

მესი პირველი არგენტინელი და მესამე „ბარსელონელია“, ეს პრიზი რომ დაიმსახურა.

თავის დროზე ამ პრიზის მფლობელები იყვნენ იოჰან კროიფი, ალესანდრო დელ პიერო, პაოლო მალდინი, როზერტო ბაჯო და სხვები. ბოლო ხანებში კი – რონალდო (1997წ), კრიშტიანუ რონალდუ (2004წ), ალენ რობენი (2005წ), ფრანცესკ ფაბრეგასი (2006წ).

### ალონსო — 18 მილიონად?



**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ ორგზის მსოფლიო ჩემპიონს, ესპანელ ფერნანდო ალონსოს, გასულ სეზონში „მაკლარენში“ რომ ასპარეზობდა, მისი ყოფილი საჯინიბოს „რენოს“ პატრონი ფლავიო ბრიატორე უკან დაბრუნებისთვის წელიწადში 18 მილიონ დოლარს სთავაზობს, თანაც სარგებლობს იმით, რომ ესპანელ პილოტს 2008 წლის სეზონისთვის სხვა ღირსეული ვარიანტი თითქმის არ გააჩნია. შედარებისთვის: ადრე ფერნანდო სამჯერ მეტს ლებულობდა.**

ადრე ისიც ითქვა, თითქოს ბრიატორემ მოახერხა 90-მილიონიანი სპონსორული პაკეტის მოგროვება ორგზის ჩემპიონის სამწლიანი კონტრაქტის ასანაზღაურებლად.

### დეკოლტესთვის — გაძევება?!

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მძლეოსნობაში სამგზის აზერბაიჯანის ჩემპიონ ლეილა ალიევასთან სპორტულ-გამაჯანსაღებელმა ცენტრმა „ნეფტჩიმ“ კონტრაქტი გაწყვიტა იმის გამო, რომ საზოგადოების დირექტორის მოადგილეს ელმარ ბაბანლის არ მოეწონა მისი იმ კაბის ღრმა დეკოლტე, რომლითაც ის ფოტოსესიაში გადაიღეს.**

პრესის ჩარევის შემდეგ ბაბანლიმ თავი იმით იმართლა, თითქოს ლეილა შინაგან



დისციპლინას არღვევდა, შემდეგ კი განაცხადა, ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ალიევას ფოტოსურათები არ შეესაბამებოდა აზერბაიჯანულ მენტალიტეტს და თითქოს მთელი კლუბი უკმაყოფილო ყოფილიყოს ინტერნეტში გამოჩენილი ამ ფოტოსურათებით. მართალია, შემდეგ „შერისხულ“ სპორტსმენს სთხოვეს კლუბში დაბრუნება, მაგრამ ის უკვე მიწვეული იყო, თანაც გაცილებით მეტი ანაზღაურებით სპორტულ კლუბ „უმიდში“.

## რაგბი

# „ყოჩების“ მესამე სიმაღლე

**დამთავრდა საქართველოს მორაგბეთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. ფინალურ პაექრობაში ერთმანეთს „ყოჩები“ და „ლელო“დაუპირისპირდნენ.**

ანგარიში „ლელომ“ გახსნა ყიასაშვილის ზუსტი საჯარიმო დარტყმით, მაგრამ ქვეყნის ორგზის ჩემპიონებმა მეტოქეს მალევე ლელო გაუტანეს და დაწინაურდნენ. დაძაბული ორთაბრძოლა „ყოჩებმა“ (გეგენავა, ელოშვილი, დ.კაჭარავა, ადანაია, ს.ნიჟარაძე, მალაღურაძე, გ.კაჭარავა, ასეიშვილი, გ.ნიჟარაძე, ყალიჩავა, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი, ახვლედიანი, ზრეგვაძე, გ.კაჭარავა, მოთამაშე მწვრთნელი– ნიკო ჭავჭავაძე) მოიგეს 15:9 და საქართველოს ჩემპიონობა მესამედ მოიპოვეს. რაგბის კავშირმა გამარჯვებულ გუნდს 5000 ლარით დააჯილდოვა, ვიცე-ჩემპიონებს კი 3000 ლარი გადაეცათ.

* * *

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჯგუფური ტურნირის შემდეგ მეხუთე იყო „არმაზი“, რომელმაც პირველლიგელ „აკადემიასთან“ ორრაუნდიან დავაში (15:8, 6:12) „მზის ქვეშ“ ადგილი შეინარჩუნა.

## ფეხბურთი

# ლიგის მორიგი გაელვება



**„მანჩესტერი“ ერთადერთი კლუბია, რომელიც უდანაკარგოდ განაგრძობს თამაშს წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში.** სერ ალექს ფერგიუსონის გუნდთან ერთად სამშაბათის რაუნდის შემდეგ „პლეიოფის“ საგზურები ვადამდე მოიპოვეს „ბარსელონამ“, „რომამ“, „ინტერმა“, „სევილიამ“ და „არსენალმა“. დანარჩენ მერვედფინალისტებს ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის შეხვედრები გამოავლენს, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება. გთავაზობთ გუშინწინდელი ბატალიების სრულ შედეგებს:

**„ე“ ჯგუფი.** „ლიონი“ – „ბარსელონა“ 2:2 (ჟუნინიო-2; ინიესტა, მესი); „შტუტგარტი“ –„რეინჯერსი“ 3:2 (კაკაუ, პარდო, მარიკა; ადამი, ფერგიუსონი).

„ბარსელონა“ – 11, „რეინჯერსი“, „ლიონი“ – 7-7, „შტუტგარტი“ – 3 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“– „სპორტინგი“ 2:1 (ტევესი, კრიშტიანუ რონალდუ; აბელი); „დინამო“(კიევი) – „რომა“ 1:4 (ბანგურა; პანუჩი, ჟიული, ვუჩინიჩი – 2).



„მანჩესტერი“ – 15, „რომა“ – 10, „სპორტინგი“ – 4, „დინამო“ (კიევი) – 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ინტერი“ – „ფენერბახჩე“ 3:0 (კრუზი, იბრაჰიმოვიჩი, ხიმენესი); ცსკა – „ეინდჰოვენი“ 0:1 (ფარფანი).

„ინტერი“ – 12, „ფენერბახჩე“ – 8, „ეინდჰოვენი“ – 7, ცსკა – 1 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „სევილია“ – „არსენალი“ 3:1 (კეიტა, ლუის ფაბიანო, კანუტე; ედუარდო); „სტიაუა“ – „სლავია“ 1:1 (ბადია; შენკერიკი).

„სევილია“ – 12, „არსენალი“ – 10, „სლავია“ – 5, „სტიაუა“ – 1 ქულა.

## ჭადრაკი

### გაგუნაშვილი შეჯიბრებას გამოეთიშა

**ხანტი-მანსიისკში დაიწყო მოჭადრაკეთა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც პლანეტის უძლიერესი დიდოსტატები მონაწილეობენ. მათ შორის გახლდათ თბილისელი მერაბ გაგუნაშვილი.** პირველ წრეში იგი ახალგაზრდა ჩინელ მოჭადრაკეს ჩჟან პანსიანს შეხვდა. ძირითადი პარტიები ყაიმით დამთავრდა. ტაი-ბრეიქებში ჩინელმა იმარჯვა 1,5:0,5 და მომდევნო რაუნდში გავიდა. გაგუნაშვილი ასპარეზობას გამოეთიშა. სამაგიეროდ, თავი ისახელა მეორე ქართველმა დავით ბარამიძემ, რომელმაც ინგლისელ ნაი-



ჯერ შორტს სძლია 2,5:1,5. საგულისხმოა, რომ ბარამიძე რამდენიმე წელიწადია, გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავს.

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

## უმაღლესი სასწავლებელი

# „რვალის“ შორსგამიზნული გეგმები

**ამას წინათ რუსთავის საერო ინსტიტუტ „რვალში“ (რექტორი – პროფესორი გულქან ციცხვაია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – ნუგზარ ჩერქეზიშვილი) მკლავჭიდელთა შიდასაკოლექტივო პირველობა გაიმართა, რამაც მთელი უმაღლესი სასწავლებლის დიდი დაინტერესება გამოიწვია, თუმცა ეს არ ყოფილა აქ პირველი სპორტული ასპარეზობა.** მსგავსი ღონისძიებები ინსტიტუტში ხშირად ეწყობა. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან „რვალს“ შორსმიმავალი გეგმები აქვს განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რაც, სოლიდურ სასწავლო და სამეცნიერო პოტენციალთან ერთად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების მაღალ დონესაც გულისხმობს.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ზრუნავს სტუდენტთა გასაჯანსაღებლად. ამ თვალსაზრისით, „რვალში“ გაისად ბევრად უკეთესი პირობები იქნება, რადგან სასწავლებელი ახალ შენობაში გადავა, სადაც, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო კორპუსის გარდა, სტუდენტთა სამსახურში ჩადგება კომფორტული საერთო საცხოვრებელი, სასტუმრო, სპორტისა და კულტურის ცენტრი შესაბამისი ბაზებითა და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით.



წლის ბოლომდე „რვალის“ ბაზაზე ჩამოვაყალიბებთ ათლეტიზმის სპორტულ კლუბს, რომელიც სამომავლოდ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იქნება. საგულისხმოა ისიც, რომ ამას წინათ ატლანტაში (აშშ) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ჩვენმა გუნდმა 10 ოქროს მედალი დაიმსახურა, ჩემი სპორტული ეკიპირება სწორედ „რვალმა“ უზრუნველყო. მადლობის მეტი რა მეთქმის...

რაც დრო გადის, ათლეტიზმი საქართველოში უფრო პოპულარული ხდება. მისი „გეოგრაფია“ იზრდება. დასტურად ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში ათლეტური ცენტრის (ხელმძღვანელი – ნაზი გოგიშვილი) გახსნაც მოწმობს. იმედია, ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც მიბაძავენ.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
**პროფესორი, „რვალის“ რექტორის მოადგილე, ათლეტიზმში ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.**

**სურათზე: ზურაბ ჭავჭანიძე (მარცხნივ) მსოფლიო ჩემპიონ ალექსი ორკოდაშვილთან ერთად ატლანტაში მსოფლიო ჩემპიონატზე.**

№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

● რაც ძველთაგან მამულს ახლავს,
გირჩევ, ხელი არ ახლო,
ის – ღმერთია, შენ ვინ ხარ –
გათელილო ბალახო.

◉ პოეზია

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ორი სამყარო



## სადღეგრძელო

ჩვენს აქ ყოფნას
რაც არ უნდა უშლიდეს,
ნუ ვლანძღავთ და
ნუ ვაგინებთ გუშინდელს.

ბედურაა
თუ ის შევარდენია,
გუშინდელი
ჩვენი დღევანდელია.

ჩვენს დღევანდელს
ვერსად გაგვიდენიან,
დღევანდელი
ჩვენი ხვალინდელია.

დაუკვირდი,
რაც არ უნდა ღელავდე,
გაუმარჯოს –
გუშინდელს და დღევანდელს.

კი, ცრემლსა ვღვრით,
ხან ამდენს და ხან იმდენს,
იმიტომ რომ –
მოვეფეროთ ხვალინდელს.

რომ არ გვჭვრეტდნენ,
მშიერსა და გათოშილს,
მოდით, ძმებო,
გაგვიმარჯოს სამ დროში

## ჩემი თბილისი

სული ძველი მზით აივსო,
გული წარსულით ცხარდება,
შენ ჩემო აპოკალიფსო,
შენ ჩემო გამოცხადებავ.

მთელი სიცოცხლე მზე გახლავს, –
რაინდთა, არცთუ მონების,
ვით მცხეთის ჯვარი, შენა ხარ
სიმბოლო სარწმუნოების.

მიყვარხარ, გვირგვინოსანო,
ნატვრა ხარ მზისა თვალისა,
შენი ერთგული მგოსანი,
მიგიჩნევს მარად თავისად.

სოლოლაკიდან – ვერამდე
ვიარე სიყვარულითა,
შენსავით ვერვის ვერ ვანდე,
ნათქვამი სიტყვა გულითა.

მე ყველა უბანს ვიცნობდი,
ყველგანა მყავდა ძმაკაცი,
ქალაქელ „ქაჯზე“ ვფიცხობდი,
დღეს ფიცხობას ვინ დაგაცლის.

ვცხოვრობდით, არაგვიშავდა,
ღმერთმა ძმობაში ჩაგვკონა,
უბნელი ბიჭი ნიშნავდა –
კოლორიტს, არა ნარკომანს.

დღეს ჩვენ, – ქაჯობამ – გვაჯობა,
ახლოს ვჭვრეტ პროვინციალიზმს,
არის სკამებით ვაჭრობა
და თვალთა ცქრიალ-ცქრიალი.

თბილისი იყო მნათობი,
ქალაქისა და სოფლისა,
ქუჩა კი ჩვენი გართობის
„კაიფი“ – მტერი მორფისა.

„ცისფერებს“ თავყბას ვუნგრევდით,
სილას ვაწნიდით „ჩამშვებსა“,
იღბალი იყო თუ ბედი,
კაცობა ჰქონდა ბავშვებსაც.

კაცს – კაცი ერქვა, ქალს – ქალი,
ძმას – ძმა და ძმაკაცს – ძმაკაცი,
მე მყავდა ჩემი ამქარი,
იმ ძველს ახალზე არ გავცვლი.

დღეს გიორგობა დღე გახლავთ,
ნათელ ყავ ჩვენი ქვეყანა,
„ხეო, გახმიო“ – ვერ გახმა –
ღმერთმა ჭირი ვერ შეგვყარა.

ან ჩემზე კარგად ვინ იცის,
ვისი ცის მზის სხივს ვევლებით,
არ შეშინდება თბილისი,
გვერდით ჰყავს თბილისელები.

ათასხუთასი წლის ბრძენი,
უძლებს წყვდიადს და ბოროტსა,
რაც მისი სიბრძნით ვიბრძენი,
გულში მივიღე მოლოცვად.

ხარ მთვარისა და მზის ხნისო,
სხვა შარმის, სხვა ნებისაო,
შენ გაიხარე თბილისო, –
„წმინდაო სამებისაო“.

სული წარსულით აივსო,
გული წარსულით ცხარდება,
შენ ჩემო, აპოკალიფსო,
შენ ჩემო გამოცხადებავ.

## მეგობრის მცირე ბიოგრაფია

იყავ კაცი განთქმული,
არ მოსწონდი ჩანჩურებს,
საქართველოს, ქართული
ენა შეუნარჩუნე.

როდის იყო, როდისო –
გახსენება არ გინდა?
„დიქტატურა მოდისო“,
სთქვი და წახველ სკამიდან.

ერი დაიღუპება,
თუ ენდობი მოლოდინს,
სიტყვის თავისუფლება
აღიარე ბოლომდის.

როცა სკამით ვაჭრობენ,
შენ ამაყობ „სამებით“
და თუ ვინმე გაჯობებს,
გულით მიესალმები.

რადგანაც ჭვრეტ ოთხ მხარეს –
დროშიანს და აფრიანს,
სისხლში არ ამოთხვარე
შენი ბიოგრაფია.

ვიტყვი ქართულ სუფრაზე,
საცა ყანწებს ავსებენ, –
ნეტა ვის დაუფასეს
შენ რად დაგიფასებენ.

რაც არ უნდა გიშარონ,
შენ ხარ ნაღდი ქართველი,
ღმერთმა ნუ მოგიშალოს,
უწმინდესის ნათელი.

## სახინკლე „რეკე“

ჯონის

დამეკარგა „რვა ნომერი“ ღვინო,
იმის მერე უკან გადავბრუნდი,
რუსთაველზე ჩემთვის
დავღიღინობ –
ქართული და გერმანული ლუდით.

პატივსა ვცემ ჩეხურსა და რუსულს,
ეხ, ოსურიც მომენატრა უცბად,
ჰოლანდიურს მოვიძიებ –
თუ მსურს,
ვერ ვივიწყებ უკრაინულ ლუდსაც.

ვაი, თავო, ეს არაყი რას გავს?
მე ვერ გეტყვით გამკეთებლის
გვარსა,
დავაყოლებ რუსულ არაყს –
ას გრამს,
და გავყვები მთიდან მოსულ ქარსა.

გავიხარებ, ბებერ ხელებს გავშლი,
რაც ჯიბეში მქონდა, – ამოვკენკე,
სუყველაფერს ფასი ადევს მაშინ,
თუ სახინკლეს სახელი აქვს – „რეკე“.

მაინც, მაინც რა მინდოდა,
მეთქვა? –
სიყვარულში კარგად იცი, ვინ ვარ,
ვართ „რეკე“-ში, ოთხივენი ერთად,
შენ და თაკო,
მე და ჩემი ირმა.

## სისხლი ყვირის

იყავ ფრთხილი, იყავ ფრთხილი,
ცით მოფრენს აგონია,
სისხლი, სისხლი, სისხლი ყვირის,
შენ, ვიღაცა გგონია.

დაღვრილ სისხლს არ გეუბნები,
არცა კიდე დასაღვრელს,
არც კი იცი, ეშმას ფრთებით
ერთმანეთში რას ამღვრევ.

წინაპართა ყვირის სისხლი,
წინაპარი არა გყავს?
გეშინოდეს ძველთა რისხვის, –
ვერ გაივლი ამაყად.

რაც ძველთაგან მამულს ახლავს,
გირჩევ, ხელი არ ახლო,
ის – ღმერთია, შენ ვინ ხარ –
გათელილო ბალახო.

2007 წლის ნოემბერი

◉ 5 იანვარი ახლოვდება

# ყოფილმა პრეზიდენტმა ყველა ფუთა არჩევნების წინ გახსნა

(მეოთხე გვერდიდან)

### რა გზებით აპირებენ ასტრონომიულად გაზრდილი გასავლების დაფარვას?

**არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილს ერთდროულად მოაგონდა პენსიონერები, ვეტერანები, პედაგოგები, მეცნიერები... ყველა მათგანს ცალ-ცალკე შეხვდა და ანაზღაურების არნახულ მომატებას დაჰპირდა.**

იური კოპაძე: „სააკაშვილის პრეზიდენტის რანგში შეხვედრა უფრო მეტად წინასაარჩევნო ფანდი იყო, ვიდრე ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

მეცნიერებს, რომელთათვისაც აქამდე ბიუჯეტი კომპენსაციის სახით მხოლოდ 45-იდან 90 ლარამდე იმეტებდა, პრეზიდენტობის კანდიდატი ერთბაშად ათას-ათასი ლარის ჩამორიგებას დაჰპირდა. პედაგოგებს მინიმალური ხელფასი 200 ლარი აღუთქვა, თუმცა შეხვედრაზე მყოფმა მაშინდელმა განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ სააკაშვილს შეუსწორა და მომავალი თაობების აღმზრდელებს 165 ლარი დაჰპირდა (ლომაიას მათთვის 35 ლარიც დაენანა).

აბსურდია, რომ ეს დაპირებები შესრულდეს. თუ სააკაშვილმა გაიმარჯვა, მას ალბათ პირობის შესრულება მოუწევს. ქვეყანაში, სადაც ფაქტობრივად ჩამკვდარია წარმოება და ყველაფერი ინვესტიციებზე, ქონების გასხვისებაზეა დაფუძნებული, ძნელი დასაჯერებელია, მთელი რიგი გადასახადების გაუქმებისა და ტარიფების შემცირების შემდეგ ბიუჯეტში რაიმე შევიდეს. ასეთ შემთხვევაში, ხელმეორედ გაპრეზიდენტებული სააკაშვილის მთავრობამ ბრუნვაში უნდა გაუშვას ლარის ახალი კუპიურები, ან აიღოს საერთაშორისო სესხები. ფულის დამატებითი მასის შემოჭრას გარდაუვალად მოჰყვება სუპერინფლაცია, საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ჩავარდება. მკვეთრად მოიმატებს უმუშევართა რაოდენობა. გაიზრდება კორუფცია, მექრთამეობა, კიდევ უფრო დამძიმდება კრიმინოგენური ვითარება. რაც შეეხება საერთაშორისო ვალებს, ესეც სერიოზულ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული. დღეისათვის საქართველოს საგარეო ვალის ოდენობამ 1790 884 000 დოლარს მიაღწია. ამ მაჩვენებელმა გასული წლისას 26272 000-ით გადააჭარბა. ამ შემთხვევაში სესხის გამცემები თავიანთ პირობებს წამოაყენებენ. ძირითადი მოთხოვნები ქვეყნისთვის მორიგი სასიცოცხლო ობიექტების მიზერულ ფასად ხელში ჩაგდების სურვილი იქნება. ეჭვი იბადება, რომ სააკაშვილი ყველა ღონეს მიმართავს პრეზიდენტობის სკამის ხელმეორედ მოპოვებისთვის, ან განიცდის უზომო ზეწოლას დიდი გავლენის მქონე თანაგუნდელთაგან და მათი მითითებების მიხედვით მოქმედებს. ჩემი აზრით, სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ამ პირობებში დაპირებები არარეალური და შეუსრულებელია. აქვე ჩნდება მესამე ვერსიაც: ექს-პრეზიდენტმა იცის, რომ ველარ დაუბრუნდება სავარძელს და მომავალ ხელისუფლებას უმძიმეს მემკვიდრეობას უტოვებს – ცარიელ ბიუჯეტს, შემცირებულ გადასახადებს, გარკვეული ფენებისთვის გასაცემ ასტრონომიულ თანხებს. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსახლეობა აშკარად უკმაყოფილო დარჩება სახელისუფლებო ცვლილებებით, რაც ვადამდე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებშიც აისახება“.

ზაზა ბილიხოძე

● ავსტრალიაში მედიკოსები შოკში ჩააგდო პოლიციის ცნობამ სინთეტური ნარკოტიკის „ჰარი პოტერის“ შესახებ — ესაა აბები ექსტაზი, რომლებიც ცინიკურმა ნარკოდილერებმა ახალგაზრდა ჯადოსნის სურათებით „გაალამაზეს“



◉ წიგნის თარო

# დასასრული — განრიგით

**ამ წიგნს მსოფლიო ათი წლის განმავლობაში ელოდა. ჯერ კიდევ 1997 წელს, ჰარი პოტერის სათავგადასავლო საგის დასაწყისში, მისმა ავტორმა, მწერალმა ქალმა ჯოან როლინგმა მკითხველი გააფრთხილა: მთლიანად იქნება შვიდი წიგნი და ბოლო ტომის ბოლო ფურცლამდე საიდუმლოს ფარდა აეხდება. და აი, ეს ბოლო წიგნიც დაისტამბა: მას „ჰარი პოტერი და საბედისწერო წმინდათა ნაწილები“ ეწოდება. მისი სხვა ენებზე თარგმნა უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს, რადგან ჰარი პოტერისა და მისი მეგობრების ამბის დასასრული ყველას აინტერესებს.**



ის, ვინც ბოლო რომანი წაიკითხა, აცხადებს, რომ მეშვიდე წიგნში ჯოან როლინგმა საკუთარ თავს აჯობა — მან მრავალ პერსონაჟს არატიპიური საქციელი ჩაადენინა.

სამართლიანობა მოითხოვს ასევე აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გარდა ჰარი პოტერის თავგადასავალს ძალიან ბევრი ალმაცერად უცქერის.

**ლეონიდ ნეჩაევი, რეჟისორი:** სინამდვილეში „ჰარი პოტერი“ — „პიტერ პენისგან“ განსხვავებით, ფართო მოხმარების მდარე საგანია. ჰარი პოტერის თავგადასავლებზე გადაღებულ კინოფილმებში სულიერების ნასახი არ არის. ნამდვილი უბედურება ისაა, რომ მათ ხეირიანად არ იციან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და ჰგონიათ, რომ ყველაფრის მიღწევა ანდა შეცვლა, მხოლოდ ჯადოსნური ჯოხის მეშვეობით შეიძლება.



**ელენე დებრაბაბისი, საოჯახო ფსიქოთერაპევტი:** ზღაპრად დაწყებულმა ამ ამბავმა, სამწუხაროდ, შემდგომ სახე იცვალა. რომანიდან რომანამდე პერსონაჟების სიკვდილთა რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა, თავად ჰარი კი სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ბოევიკის და არა საბავშვო წიგნის გმირს.

◉ ინფორმაცია თემაში

**სხვათა შორის, ჰარი პოტერის შესახებ პირველ ექვს წიგნში ცხრა კაცი დაიღუპა. მეშვიდეში კი ამ რიცხვმა ოცდაერთს მიაღწია! მათ შორის არიან ვოლან — დემორტი, ბელატრიქსი, სევერუს სნეიპი, ფრედ უიზლი, ნიმფადორა ტონქსი, რემუს ლიუპინი, თუმცა, როგორც ამბობენ, ყველაზე დასანანია დობი და ბუ.**

## რა შუაშია მალტის ორდენის რაინდები?

ჯერ კიდევ 2005 წელს წიგნის „ანტიჰარი პოტერის“ ავტორები პეტრე ობრაზცოვი და საშა ბეტენევა ამტკიცებდნენ, რომ ჰარი პოტერის შესახებ წიგნების ჭეშმარიტი დამკვეთია მალტის ორდენი — ძველი დროიდან დღევანდელობამდე შემორჩენილი საიდუმლო რელიგიური კავშირი. ამის დასამტკიცებლად მათ ასობით მალტური სიმბოლო მოჰყავდათ, რომლებითაც სავსეა როლინგის წიგნები: ჯადოსნური მახვილი, უხილავი ლაბადა, ბუ. „ანტიჰარი პოტერის“ ავტორთა აზრით, როლინგის წიგნების შექმნის მიზანია მილიონობით ახალი ადეპტის აღზრდა, რომლებიც შემდგომ მსოფლიოში ძალაუფლების ხელთ ჩაგდებას მოისურვებენ.

ჰარი პოტერის თავგადასავლების მეშვიდე ტომიც აღსავსეა მალტური სიმბოლიკით — ესაა იგივე ჯადოსნური მახვილი, საბედისწერო წმინდა ნაწილები (ორდენის სიწმინდეს იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები წარმოადგენსძ, დიადემა (ანუ იგივე ორდენის დიდი მაგისტრის გვირგვინიძ.

## ჰარი პოტერი და ოფიციალური მედიცინა

ავსტრალიაში მედიკოსები შოკში ჩააგდო პოლიციის ცნობამ სინთეტური ნარკოტიკის „ჰარი პოტერის“ შესახებ — ესაა აბები ექსტაზი, რომლებიც ცინიკურმა ნარკოდილერებმა ახალგაზრდა ჯადოსნის სურათებით „გაალამაზეს“.

მალაიზიის ლინგვისტთა ასოციაცია კი სულაც ამტკიცებს, რომ როლინგის წიგნებში ნარკოტიკების შენილბული პროპაგანდაა. სიტყვა „პოტ“ (pot, რომელსაც ჯადოსნის გვარი შეიცავს, სლენგზე „მარიხუანას“ ნიშნავს).



თუმცა, ავტორიტეტულმა ჟურნალმა Britich Medical jornal-მა გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა იმის თაობაზე, რომ ჰარი პოტერის შესახებ წიგნების გამოსვლის დღეებში ორჯერ მცირდება ტრავმების რიცხვი, ვინაიდან მოზარდები სახლებში წიგნებს უსხედან.

## გაგრძელება იქნება?

ტყუილად როდია, რომ ჯოან როლინგმა უკვე მოიპოვა 21-ე საუკუნის საუკეთესო მეზღაპრის სახელი. იგი მისტეფიკაციების უბადლო ოსტატია, ამიტომ მის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ მეშვიდე წიგნით ჰარი პოტერის თავგადასავლები დასრულდება, ბევრი არ იჯერებს. ამის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ თუკი გმირი ჭეშმარიტად „სახალხო“ ხდება, მას ავტორი ვერაფრით მოკლავს, რის მაგალითი მსოფლიო ლიტერატურაში მრავლადაა — ესენი არიან შერლოკ ჰოლმსი, ტომ სოიერი, დ'არტანიანი, მრავალი სხვა. თანაც ხშირად ეს მკითხველთა დაჟინებული თხოვნით ხდება.

„პოტერიანას“ გაგრძელებაზე მინიშნება ბოლო მეშვიდე წიგნშიც არის: ავტორი... 19 წლით მომავალში იჭქირება, იგი ყვება, თუ როგორ შესანიშნავად ცხოვრობენ ჰარი პოტერი და ჯინი, ასევე რონი და გერმიონა თავის შვილებთან ერთად. მეორე გარემოება კი ის არის, რომ ლიტერატურაში ყველაზე წარმატებული ხერხია გმირებთან დაბრუნება ზუსტად... 20 წლის შემდეგ.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია თემაში

### პოტერიანა ციფრებში

**● ჰარი პოტერის შესახებ ეპოპეაში შვიდი წიგნია, რომელიც 3419 გვერდს და 1,4 მილიონ სიტყვას შეიცავს. ისინი 65 ენაზე, მათ შორის, ლათინურზე, ძველბერძნულზე და ვალიუარზეა თარგმნილი.**

**● პირველ ორ დღე-ღამეში ჰარი პოტერის მეშვიდე წიგნის 20 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ბრიტანეთში საათში 50 ათასი წიგნი იყიდებოდა.**

**● ყველაზე სწრაფად წიგნს კითხულობდა სწრაფად კითხვის მსოფლიოს ჩემპიონი ენ ჯონსი. ყველაზე სწრაფად — სამ დღეში — წიგნი თარგმნა ბრაზილიელმა ფანატებმა. პორტუგალიურად ინტერნეტში წიგნი სამ დღეში გაჩნდა. ამბობენ, რომ მუშაობაში მონაწილეობდა 200 კაცი, ხოლო ხელმძღვანელი იყო 14 წლის გოგონა (!ძ.**

**● მსოფლიოში სადღეისოდ გაყიდულია 380 მილიონზე მეტი წიგნი ჰარი პოტერის შესახებ.**

**● მის თავგადასავლის შესახებ გადაღებულმა ხუთმა ფილმმა მსოფლიო კინოგაქირავებაში 3,7 მილიარდი დოლარი მოაგროვა.**

**● მთელ კინოეპოპეაში დენიელ რედკლიფმა, ჰარი პოტერის მთავარი როლის შემსრულებელმა, 23 მილიონი დოლარი მიიღო.**

**● ჰარი პოტერის ეპოპეის ავტორის ჯოან როლინგის ქონება სადღეისოდ 545 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული, ხოლო მისი პირველი ავტოგრაფიანი წიგნი, რომელსაც წაწერილი აქვს „მამას და ჯენს — უდიდესი სიყვარულით“, 48 ათას დოლარად გაიყიდა.**


# განცხადება

**სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2007 წლის 17 დეკემბერს, 10.00 საათზე, ქ.ბორჯომში, თორის ქ. №39.**

**დღის წესრიგი:**

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 29 ოქტომბერი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აუქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აუქციონერთა რეესტრში 2007 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით, რაც დასტურდება საერთო კრებაზე რეგისტრატორის მიერ წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემებით, და რომლებიც საერთო კრებაზე წარმოადგენენ პირადობის მოწმობას.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აუქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარმოდგენილი დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას უწევენ დღის წესრიგის საკითხების განხილვას და დადებითად გადაწყვეტას.

აუქციონერებს კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლების შემოწმება შეუძლიათ სჰს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ რეგისტრატორთან შპს „რეგისტრთან“, მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№74 ა.

**სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ზაზა კიკვაძე**


◉ ინფორმაცია

## დევნილთა რეგისტრაცია გაგრძელდა

**დევნილების სავალდებულო რეგისტრაციის ვადა ერთი თვით გახანგრძლივდება. ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე ლტოლვილთა და განსახლების ახლად დანიშნულმა მინისტრმა კობა სუბელიანმა განაცხადა.**

მისი თქმით, უკვე რეგისტრირებულია 200 000 დევნილი და ერთი თვის მანძილზე ამ მონაცემს 30-40 ათასი პირი კიდევ დაემატება.

როგორც სუბელიანმა აღნიშნა, მინისტრად დანიშვნის შემდეგ დევნილების კომპაქტურად ჩასახლების რამდენიმე ადგილი უკვე მოინახულა.

— დევნილებს საკუთარი პრობლემების გასაცნობად სამინისტროში მოსვლა არ მოუწევთ. მე თავად შევადგენ გრაფიკს და, დაახლოებით, თვეში ერთხელ დევნილებს პერმანენტულად შევხვდები, — აღნიშნა კობა სუბელიანმა.

**ინტერპრესნიუსი**


**შპს „წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა“ (მისამართი: მარტვილის რაიონი, სოფ. სალხინოძ წყვეტს ფუნქციონირებას, ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას ვთხოვთ მოგვმართოს განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში ურთიერთობების დასარეგულირებლად.**


№ 234. ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

ახალი აღთქმის წიგნებს შორის მათეს სახარება რიგით პირველია. მათე მახარებელმა იგი პალესტინაში დაწერა ქრისტეს შობიდან 42 წელს, ებრაულ ენაზე, საიდანაც შემდეგ ბერძნულად თარგმნა



## სულიერება

# ყოვლადქებული მოციქული და მახარებელი მათე



**29 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც წმინდა დიდებულსა და ყოვლადქებულ მოციქულს, მახარებელ მათეს იხსენიებს. მათე მახარებელი ნაზარეთში დაიბადა, ის გადასახადების ამკრეფი იყო.**

... მათე მახარებელს მაცხოვარმა მოუწოდა: „მომდევდე მე“. მათეც ადგა და გაჰყვა მას.

ცნობილია, რომ ქრისტეს მოწაფეებმა მათეს მიწვევა არ იუკადრისეს, შევიდნენ მის სახლში და მეზვერის ნათესავებსა და მეგობრებთან ერთად იტრაპეზეს, რამაც აღაშფოთა ფარისევლები და მწიგნობრები — მათ არ ესმოდათ, რომ მაცხოვარი არ მოსულა **„წოდებად მართალთა,** არამედ ცოდვილთა სინანულად“.

მათემ შეიგრძნო თავისი ცოდვების სიმძიმე, მთელი მისი ქონება გლახაკებს დაურიგა,თვითონ კი სხვა მოციქულებთან ერთად ქრისტეს შეუდგა.

მოციქული მათე, მას შემდეგაც, სულთმოფენობის დღეს უფლის სხვა რჩეულ მოწაფეებთან ერთად სულიწმინდის ნიჭით აღივსო, ქადაგებდა პალესტინაში, მერე კი, სანამ ქრისტიანობის გასავრცელებლად შორეულ ქვეყნებში გაემგზავრებოდა, იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაწერა სახარება, რომელშიც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება აისახა.

ახალი აღთქმის წიგნებს შორის მათეს სახარება რიგით პირველია. მათე მახარებელმა იგი პალესტინაში დაწერა ქრისტეს შობიდან 42 წელს, ებრაულ ენაზე, საიდანაც შემდეგ ბერძნულად თარგმნა.

მათე მახარებელმა ქადაგებით მოიარა სირია, მიდია, სპარსეთი, პართია და ბოლოს, 79 წელს, ეთიოპიაში დაასრულა მოციქულებრივი ღვაწლი.

**გიული ლიპარტია**

## ინფორმაცია

# რა ფერად შეღებავენ უნივერსიტეტის კორპუსებს?

**მომავალი წლისთვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსების გარემონტება და შეკეთება იგეგმება.**

ამის შესახებ განათლების საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, მომავალ წელს უნივერსიტეტს 90 წელი უსრულდება და ამ თარიღთან დაკავშირებით პირველი და მეორე კორპუსების სრულად გარემონტების ინიციატივით უნივერსიტეტის მესვეურები გამოვიდნენ.

გრიგალაშვილი იმედოვნებს, რომ 2008 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხები აუცილებლად გამოიძებნება.

კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, პირველი და მეორე კორპუსების შეკეთებისთვის საჭირო თანხად 4 მილიონი ლარი დასახელდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გვემრავლოს!

# ცხომელიძეების ოჯახში ბიჭია ნომბაა



**სამშობიარო სახლ „ორიონში“ დედა-შვილისთვის მყუდრო გარემო და სათანადო პირობებია შექმნილი.** დილომში მდებარე ამ სამშობიარო სახლის უფროსმა მედდამ ნანული დამენიამ გვაცნობა, რომ ნოემბრის თვეში აქ 93 ბავშვი დაიბადა, მათ შორისაა პატარა ლუკაც. 22 წლის პირმშვენიერ ვერიკო და კოტე ცხომელიძეების პირველი ვაჟიშვილი. ვერიკო „ორიონში“ ამშობიარა მთავარმა ექიმმა, კლინიკის ხელმძღვანელმა დავით გაგუამ.

პირველი ძე ცხომელიძეების ოჯახში და მისი დედიკოც თავს კარგად გრძნობენ.

**ნათელა ფაილოძე**

# საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების საყურადღებოდ!

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“, საქართველოს პოლიტიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიები და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი** ამავე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის 45, VI სართულიძ საზოგადოების წევრთა, მეცნიერთა, პედაგოგთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა თხოვნით, 2007 წლის დეკემბერში სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 13 საათიდან 15 საათამდე ერთობლივად აწყობს **საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებთან წინასაარჩევნო შეხვედრებს.**

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, ვისაც საამისო სურვილი აქვს, ვთხოვთ, წინასწარ — სამი დღით ადრე წერილობით გვაცნობონ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულიდან რომელ დღეს არიან თანახმა ასეთი შეხვედრისა.

**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
**საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრების კოორდინატორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.**

## ისევ ხუმრობით

# ნაყრილობევზე წვეული მუზა

*კარგი მერმისი ჩვენ გველის —*
*განა რა მინდა მეტი!*
*პირის მოკეტვას ვეჩვევი,*
*მრუდ სიტყვას არცვის*
*ვეტყვი.*
*ვიღას ან რაღას ვეჩრები,*
*თუ გვყავს ფოლადის*
*მკვნეტი —*
*ჩვენი მარგარეტ ტეტჩერი;*
*ქართველი რკინის ლედი!*

*P. S.*
*მაშ ვისურვოთ, რთულ*
*ხანაში*
*მტკიცე ნება შერჩეს*
*ჩვენს მარგარეტ ბურჯანაძეს*
*ანუ ნინო ტეტჩერს!..*

**გელა თელია**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**

## ანეკდოტები

ახალი რუსი თავისთვის სასახლეს ეძებს.

— რა ღირს ეს სახლი? — ეკითხება მცველს.

— ეს სახლი კი არა, ციხე-სიმაგრეა. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარია!

— პირველი ნახევარი სად არის?

* * *

— საახალწლოდ ცოცხალ ნაძვის ხეს დგამთ?

— ცოცხალს კი არა... ცოცხალი მხოლოდ ტყეში იზრდება.

* * *

— იქნებ გამიშვა, ჰა? — ეუბნება მძღოლი ავტოინსპექტორს.

— არ შემიძლია, კანონში არ დევს, — უპასუხებს ინსპექტორი და დოკუმენტებს ფურცლავს.

— როგორ თუ არ დევს, აბა, კარგად ნახე, მათთვის მოწმობასა და ტექტალონს შორის!

— ჰოო, დევს, დევს! თავისუფალი ხარ!



* * *

მიხო ქიმიაში გამოცდას აბარებს. ისეთ პასუხებს იძლევა, გამომცდელები სიცილით იხოცებიან.

— ასე როგორ იქნება! გაზიანი წყლის ფორმულა მაინც თუ იცით?

— სიროფიანისა თუ უსიროფოსი?

* * *

— კულინარიული რჩევები: თუ გაუფცქვნელ კარტოფილს მოხარშავთ, მაშინ მხოლოდ იმ კარტოფილის გაფცქვნა მოგიწევთ, რომელსაც თავად შეჭამთ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.